www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 8 იანვარი, 2004 წელი. №5 (554) | ფასი 50 თეთრი

## საშობაო ეპისტოლე

### ფრაგმენტი

ამქვეყნად ღვთის განგებულებით აღესრულება ყველაფერი. აქედან ნაწილი სათნოა უფლისათვის, ზოგიც მისი დაშვებით ხდება, მაგრამ ორივეს საბოლოო შედეგი ეკლესიისთვის, და საერთოდ მორწმუნეთათვის, მხოლოდ დადებითია, რადგან, როგორც წმიდა წერილი ბრძანებს, ყოველივე სასიკეთოდ წარემართებათ უფლის მიმდევართ. მძიმე განსაცდელიც კი ქრისტიანისათვის სიკეთის მომტანია, რადგან იგი ჩვენს გამოსასწორებლადაა დაშვებული, ან ღვთის სასწაულის გამოვლინებაა.

რა თქმა უნდა, ყოველი ხელისუფლებაც ღვთისაგან არის. კეთილიცა და ბოროტიც, ხალხის მსახურიცა და თავის თავის მსახურიც. უფალი საზოგადოების ღირსების შესაბამისად განაგებს ამ საიდუმლოს.

გასული წლის ნოემბრის მოვლენებით დამთავრდა კიდევ ერთი ეტაპი ჩვენი ქვეყნის ისტორიისა. სამწუხაროდ, წლების მანძილზე დაშვებული იქნა ბევრი ისეთი შეცდომა, რამაც შედეგად მოიტანა ხელისუფლებსი ამგვარად შეცვლა. შეცდომებს შორის, რა თქმა უნდა, უნდა ვიგულისხმოთ 1991 წელს პრეზიდენტის ძალით დამხობის ფაქტიც. საერთოდ კი, დღევანდელი დღე ძირითადი ქრისტიანული პრინციპების დარღვევამ მოიტანა.

მახსენდება უდიდესი ჩინელი ბრძენის, კონფუცის დარიგება. როდესაც ჰკითხეს, თუ რას ნიშნავდა ქვეყნის მმართველობა, მან უპასუხა: იმას, რომ ქვეყანაში არის საკმარისი საჭმელი, იარაღი (ანუ ჯარი), და არის ხალხის ნდობა.

და თუ გაჭირვების გამო რომელიმეს უარყოფა იქნება აუცილებელი?

მაშინ შესაძლებელია იარაღი გამოირიცხოს.

თუ დარჩენილი ორი პირობიდანაც არჩევანი უნდა გაკეთდეს, რაზე შეიძლება ვთქვათ უარი?

საკვებზე, - იყო პასუხი.

ეს რჩევა ყველა დროის ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს.

**ილია II**
**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი**

## აჭარის საზღვრები კვლავ ჩაკეტილია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კვლავ ძალაშია საგანგებო მდგომარეობა. ამის შესახებ გუშინ, საღამოს განაცხადა ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურმა ასლან აბაშიძემ. აჭარის ლიდერის ადმინისტრაციის განცხადებით, გადაწყვეტილების მიზეზი გახდა შინაგან საქმეთა სამინისტროში შემოსული ინფორმაცია, რომლის თანხმადაც, მზადდებოდა ტერაქტები რეგიონში დესტაბილიზაციის შესაქმნელად. ამავე ინფორმაციის საფუძველზე, აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნა დიდი ოდენობით იარაღი, ნარკოტიკები, დოლარის ყალბი კუპიურები და მოძრაობა "კმარას" მიერ დაბეჭდილი პროკლამაციები, რომლებიც ასლან აბაშიძის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად.

საგანგებო მდგომარეობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უკვე გუშინ საღამოდან მოქმედებს, ჩაკეტილია ჩოლოქის გამშვები პუნქტი; რეგიონის ტერიტორიაზე განსაკუთრებული ნებართვისა და შემოწმების გარშე არავის უშვებენ. სწორედ ამ მიზეზით, ჩოლოქის გადალახვის უფლება არ მისცეს "რუსთავი 2"-ის გადამღებ ჯგუფს. ოპერატორი და ჟურნალისტი მთელი ღამის განმავლობაში უშედეგოდ ელოდნენ აჭარის ლიდერის ნებართვას, ჩასულიყვნენ ბათუმში.

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1000 |
| ევრო | 2.6690 |
| გირვანქა სტერლ. | 3.8098 |
| რუბლი | 0.0718 |

# ღმერთი მოგვცემთ ბარაქასა!



ზაალ ბულაშვილის ფოტო

## ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განცხადება

### 2004 წლის 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებისა და ხელახალი საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადების შესახებ

2004 წლის 4 იანვარს საქართველოში რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. არჩევნების დღემ მშვიდ და ნორმალურ ატმოსფეროში ჩაიარა. საარჩევნო ადმინისტრაცია ყველა დონეზე საქართველოს კონსტიტუციისა და საარჩევნო კოდექსის ნორმებით განსაზღვრულ ფარგლებში მოქმედებდა. ადგილობრივ და საერთაშორისო მეთვალყურეებს ჰქონდათ არჩევნებზე დაუბრკოლებლად დაკვირვების შესაძლებლობა. ცალკეულ დარღვევათა და ტექნიკურ ხარვეზთა მიუხედავად, გაყალბებას, მით უმეტეს მასობრივს, ადგილი არ ჰქონია.

2004 წლის 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების საკვანძო ნაწილი - არჩევნების დღე - ნამდვილად განსხვავდებოდა საქართველოში ბოლო პერიოდში ჩატარებული ყველა სხვა არჩევნებისაგან. ვიტოვებ იმედს, რომ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დასკვნითი ნაწილი - არჩევნების შედეგების შეჯამება - ასევე კანონის დაცვით წარიმართება და დასრულდება.

2004 წლის 4 იანვრის არჩევნების სახე ქართველმა ამომრჩეველმა განსაზღვრა თავისი აქტიურობით და საქართველოს მთავრობისა თუ საერთაშორისო თანამეგობრობისათვის იმის მკაფიო ჩვენებით, რომ საქართველოს მოქალაქეებს სურთ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, სურთ, თავადვე აირჩიონ საკუთარი ხელისუფლება.

ულრმესი მადლობა საქართველოს ყველა მოქალაქეს, რადგან მათმა მაღალმა სამოქალაქო და პოლიტიკურმა კულტურამ სათავე დაუდო საქართველოში კანონის დაცვით ჩატარებული არჩევნების ახალ ტრადიციას. შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ 2004 წლის 4 იანვარს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით ჩატარდა, მაგრამ პროგრესი ამ მიმართულებით, და თანაც მნიშვნელოვანი, აშკარაა.

2004 წლის 4 იანვარს მკაფიოდ გამოჩნდა, რაოდენ არსებითია ხელისუფლების მყარი პოლიტიკური ნება, ქვეყანაში ჩატარდეს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები. ის ფაქტი, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეკორდულად უმოკლეს ვადაში შეძლო რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების მომზადება და ჩატარება, დიდწილად საქართველოს მთავრობის პოზიციამ განაპირობა.

ამ პოზიციის ყველაზე მკაფიო დადასტურება საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის, ქალბატონ ნინო ბურჯანაძის მაღალი ყურადღება და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 2003 წლის 23 დეკემბერს სტუმრობა იყო. საქართველოს ხელისუფლების სიმტკიცემ შექმნა ის გარემო ქვეყანაში, რომ არჩევნები კვლავ არ გაიგივებულიყო ბრძოლასთან, დაპირისპირებასთან, ქაოსთან.

ქართველი ხალხი და მისი მთავრობა დადგებოდა გადაულახავი პრობლემების წინაშე, კონსტიტუციურ ვადებში ჩატარებულიყო რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, რომ არა საერთაშორისო თანამეგობრობის ასევე ძალიან მყარი ნება, დახმარებოდა ახალგაზრდა ქართულ დემოკრატიას.

გაგრძელება A2 გვერდზე

## კ მ ა რ ა !

### ამბობენ ბათუმელებიც

*კმარა აბაშიძის სეპარატისტული დიქტატურა! კმარა გოგიტიძის პოლიციურ-კრიმინალური თარეში! კმარა უმოქმედობა! კმარა იმიტომ, რომ ჩვენ გვიყვარს საქართველო! კმარა თავისუფალი სიტყვის დევნა! ჩართეთ "რუსთავი 2"! - 5 ღამის განმავლობაში ბათუმის ქუჩებში ხუთასამდე ამ შინაარსის პლაკატი იკვრებოდა. გათენებამდე ამ პლაკატებს მთლიანად იღებდნენ და, როგორც ამბობენ, პირდაპირ ასლან აბაშიძესთან შეჰქონდათ, თუმცა ხალხი მათ შინაარს მაინც ეცნობოდა...*

*აბაშიძე-გოგიტიძის რეჟიმი ამ მოვლენის წინააღმდეგ ყველანაირად იბრძვის: იჭერენ სტუდენტებს, მათ მშობლებს, ჩხრეკას ატარებენ ბათუმის უნივერსიტეტის ლექტორების სახლებში. როგორც თავად ბათუმელები ამბობენ, რეალურად სამი კი არა, თხუთმეტზე მეტი ადამიანია დაპატიმრებული, თუმცა მათი ახლობლები იმდენად არიან დაშინებულნი, რომ ამ ფაქტის გახმაურებაც არ უნდათ.*

*ბათუმში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით გთავაზობთ თბილისელი და ბათუმელი "კმარელების" კომენტარებს. ბათუმური "კმარას" ორგანიზაციის წევრთა სახელები, მათივე უსაფრთხოების მიზნით, შეცვლილია.*

ნინო ცინცაძე

**თეა თუთბერიძე:** ვარდების რევოლუციის შემდეგ "კმარა" ბათუმშიც დაიწყო. იკვრებოდა პლაკატები, იყრებოდა პროკლამაციები, რიგდებოდა მოწოდებები საახალწლო საჩუქრის ფორმაში. ამ სახის აქციებს ისევ გავაგრძელებთ. ასეთი მეთოდებით ვერ შეგვაშინებენ.

**ქეთი კობიაშვილი:** გუშინ, ღამე დაგვირეკეს და შეგვატყობინეს, რომ ერთ-ერთი სტუდენტი დაკავებულია. მთელი ღამე გვქონდა კონტაქტი ბათუმთან. დილისკენ გაირკვა, რომ მეორე სტუდენტის მამაც აუყვანიათ. დაკავებულები არიან სხვებიც, არაკმარელებიც, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ შესახებ ინფორმაცია არა გვაქვს.

გაგრძელება A4 გვერდზე




## ქრისტეშობის ქუჩა-ქუჩა ქადაგება

ზაზა ფაჩუაშვილი

*საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაული ყველასთვის ეხარებინა. მორწმუნე მრევლი ტაძრებში ღამისთევის ლოცვას დაესწრო. მათთვის, ვინც ეკლესიაში მისვლა ვერ მოახერხა, სიონის საზეიმო წირვა-ლოცვა ტელევიზიის პირველი არხით გადაიცა. დანარჩენებმა კი ქრისტეშობის მახარობელთა ქუჩა-ქუჩა მსვლელობა იხილეს.*

ქრისტეშობის მახარობელთა მსვლელობა – ალილო – საქართველოს ყველა მოქმედი ტაძრის მრევლმა მოაწყო. ასევე იყო დედაქალაქშიც, თუმცა თბილისში მაინც სამი დიდი მარშრუტი გამოიკვეთა. მეალილოე მრევლი ერთდროულად დაიძრა სიონიდან, დიდუბის ღმრთისმშობლის ტაძრიდან და ტელევიზიის მიმდებარე ტერიტორიიდან. წითელჯვრიანი თეთრი სამოსით გამშვენებულ კოლონებს, რომლებსაც სამღვდელოება კმევითა და წმინდა წყლის პკურებით მიუძღოდა, ხატები და ჯვარ-ბაირაღები მოჰქონდა. მახარობელთა შესახვედრად ხალხი გამოდიოდა, ილოცებოდა და ტოპსიკაგადაკიდებულ ბავშვებს ასაჩუქრებდა. შემოწირულობების საზიდად კასპის რაიონის სოფელ მეტეხიდან სპეციალურად ჩამოიყვანეს 8 ულელი კამეჩი, რომელთა ურმებზე გავსებული ტოპსიკები იცლებოდა. იქვე ცარიელ გოდრებში კი მოკალათებულნი იყვნენ სიარულისაგან დაღლილი პატარა მეალილოე ბავშვები.

გაგრძელება A6 გვერდზე

## 104 წლის ნინა ხომასურიძის იმედი და შეგონება

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

გუშინ კახელებმა ქრისტეშობიდან 2004 წელი განსხვავებულად აღნიშნეს. მართალია, ეს დღესასწაული ქუჩებში მასობრივ საზეიმო ხასიათს არ ატარებდა, მაგრამ ოჯახებში, სადაც სადღესასწაულო სუფრა იყო გაშლილი, განსაკუთრებული სადღეგრძელოები ისმებოდა. თუ დღემდე კახელი გლეხი პირველ სადღეგრძელოდ წლის მოსავალს შესვამდა ხოლმე, ამჯერად ეს ტრადიცია დაირღვა და ყველა ქვეყნის მომავლის, ახალი საქართველოს სადღეგრძელოს სვამდა.

სწორედ იმედით, სამშობლოსა და უფლის სიყვარულით მოიყარა 103 წელი გურჯაანელმა ნინა ხომასურიძემ. მან ტრადიციას არ ულალატა და ქრისტეშობის ბრწყინვალე დღე შვილიშვილებთან ერთად აღნიშნა.

**"შვილო, ეს ერთი დღეღა შემოგვრჩა საზეიმო და ამასაც თუ დაგვავიწყებინებენ, ბარემ კაცობრიობა გაწყდეს,"** - გვითხრა ნინა ბაბომ... ჩურჩხელები, გოზინაყი, ცივად მოხარშული დედალი - აი, ეს ის სუფრაა, რომელსაც მხცოვანი ქალბატონი ყოველთვის საკუთარი "ჯამაგირით" ამზადებს და სტუმრებსაც სიამოვნებით უმასპინძლდება. როგორც ნინა ბაბო იტყვის ხოლმე, მისი კბილა ქვაც არ დაგორავს, მაგრამ გული ჯერ კიდევ არ დაბერებია. იგი თავის წილ ლუკმაპურს თავად შოულობს და ზოგჯერ ოჯახსაც კი ინახავს. მას შემდეგ, რაც ქვეყანა აირია და გაჭირვებამ დაისადგურა, ნინა ხომასურიძე რაიონის აგრარულ ბაზარში დგას და ზამთარ-ზაფხულ საჭმლის საკაზმ სუნელებს ჰყიდის.

გაგრძელება A6 გვერდზე

A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 სამართალი | A5 ამბები | A6 საზოგადოება | A7 სხვადასხვა | A8 სხვადასხვა
B1 სტუმარი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 უახლესი ისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განცხადება

პირველი გვერდიდან

უდიდესი მადლობა დონორ ქვეყნებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, სწრაფი და ეფექტური ფინანსური, ტექნიკური და საკონსულტაციო დახმარებისათვის, მაგრამ ვერანაირი თბილი სიტყვები ვერ შეძლებს იმ მადლიერების გამოხატვას, რომელიც მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს, მაქვს იმ უზარმაზარი მორალური თანადგომის სანაცვლოდ, რაც დემოკრატიულმა მსოფლიომ საქართველოს მიმართ გამოიჩინა.

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარალამენტო ასამბლეისა და ევროპარლამენტის ერთობლივი სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში, 450-მდე საერთაშორისო მეთვალყურის ყოფნამ 2004 წლის 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე ხელი შეუწყო იმას, რომ საზოგადოებას - ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთაც - მიეღო დეტალური ინფორმაცია არჩევნების მიმდინარეობის შესახებ.

საგულისხმოა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შეფასებასთან ერთად (რაც 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შეფასებისაგან ნამდვილად განსხვავდება), ამ ავტორიტეტულმა სადამკვირვებლო მისიამ ტრადიციულად უაღრესად ფასეული რეკომენდაციები წარმოგვიდგინა, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია საქართველოში შემდგომი საარჩევნო პროცესების საერთაშორისო სტანდარტებთან კიდევ უფრო მისაახლოებლად. მაქვს დიდი სურვილი და იმედი, რომ საერთაშორისო მეთვალყურეთა არანაკლები რაოდენობა ვიხილოთ ხელახალ საპარლამენტო არჩევნებზე, რომელიც 2004 წლის გაზაფხულზე გაიმართება.

საქართველოში საარჩევნო პროცესების უკეთ წარმართვისათვის დიდი ძალისხმევა გაიღეს საქართველოში მოქმედმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორებიცაა ეუთო-ს მისია საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამა, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი.

ამ ორგანიზაციებმა დახმარება გაუწიეს საარჩევნო ადმინისტრაციას და იმავდროულად დიდად შეუწყეს ხელი საქართველოში ადგილობრივ მეთვალყურეთა ინსტიტუტის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია "სამართლიანი არჩევნებისა" და "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" სადამკვირვებლო მისიების გამართული და კვალიფიციური მუშაობა, რაც არა მხოლოდ საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობას უწყობს ხელს, არამედ ახალი ტიპის სამოქალაქო აქტივობას ამკვიდრებს ქვეყანაში.

დიდი იყო მედიის როლი რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების მზადებისა და ჩატარების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. მედია ასეთსავე ყურადღებას ინარჩუნებს დათვლის მიმდინარეობის პროცესში, რაც ამყარებს საზოგადოების ნდობას საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის მიმართ.

2004 წლის 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების ხარისხი იძლევა გარკვეული კმაყოფილების, მაგრამ არა დამშვიდების საშუალებას. ჯერ ერთი, არა დიდი მასშტაბებით, მაგრამ მაინც ადგილი ჰქონდა დარღვევებს და ტექნიკურ ხარვეზებს არჩევნების მიმდინარეობისას. ამავე დროს, არაკონკურენტულ საარჩევნო გარემოში საარჩევნო ადმინიტრაციის გამართული მუშაობა ჯერ კიდევ არ არის გარანტია, რომ ადმინისტრაცია ამასვე შეძლებს პოლიტიკურად უფრო დაძაბულ და კონკურენტულ გარემოში.

ვფიქრობ, 2004 წლის ხელახალი საპარლამენტო არჩევნები საარჩევნო ადმინისტრაციის უფრო რეალური გამოცდა იქნება. თუმცა უკვე დღეს მინდა მადლობა ვუთხრა საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა დიდ ნაწილს, რომელთა მეტ-ნაკლებად გამართულმა მუშაობამ გაამართლა ქართველი ამომრჩევლის მოლოდინი.

მაგრამ იყო დარღვევები და მსურს კიდევ ერთხელ განვაცხადო: საოლქო საარჩევნო კომისიებმა და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეაგირების გარეშე არ უნდა დატოვოს დარღვევის არც ერთი ფაქტი, რომელიც დააფიქსირეს მეთვალყურეებმა, ჟურნალისტებმა, ამომრჩევლებმა.

იმის მიუხედავად, რომ აშკარაა პროგრესი საარჩევნო პროცესის წარმართვაში, საჭიროა დღესვე დაიწყოს მსჯელობა იმაზე, როგორ მივუახლოვოთ ქართული არჩევნები საერთაშორისო სტანდარტებს. მსურს, საზოგადოების ყურადღება რამდენიმე საკვანძო საკითხზე შევაჩერო:

## საარჩევნო კანონმდებლობა

საარჩევნო კანონმდებლობა დახვეწას მოითხოვს. საარჩევნო სუბიექტებს შორის, აგრეთვე, საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის არარსებობის ან ნაკლებობის პირობებში, საქართველოს პარლამენტმა გაართულა კანონმდებლობა, განსაკუთრებით კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამების ნაწილში, რითაც ნდობის არარსებობის ან ნაკლებობის კომპენსირებას შეეცადა. რთული პროცედურები, მით უმეტეს დაბალი კვალიფიკაციის მქონე საარჩევნო ადმინისტრაციისათვის, ძნელად შესასრულებელი გახდა, რაც არათუ ხელს არ უწყობს საარჩევნო სუბიექტებს შორის ნდობის აღდგენას, არამედ, პირიქით, ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება. 2004 წლის 4 იანვარს გაჩნდა გარკვეული ნდობა საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ და კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამების პროცედურების გამარტივება კიდევ უფრო ეფექტურს გახდიდა არჩევნების ადმინისტრირებას.


ლევან ხერხეულიძის ფოტო

ზურაბ ჭიაბერაშვილი

## საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება

იმის მიუხედავად, რომ 2004 წლის 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების მზადების პროცესში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და მთლიანად საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა რგოლმა, წინა გამოცდილებისაგან განსხვავებით, შედარებით ეფექტურად და კოლეგიალურად იმუშავა, საარჩევნო სუბიექტებს შორის და საარჩევნო ადმინისტრაციისადმი საზოგადოებრივი ნდობის ზრდას უთუოდ შეუწყობდა ხელს საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების იმგვარი წესის მიღება, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია პოლიტიკურად უფრო დაბალანსებული ყოფილიყო.

საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესზე დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფო და პარტიული სტრუქტურების მკაფიო გამიჯვნა, რომ სახელმწიფოს ადმინისტრაციული რესურსები უკანონოდ არ იქნეს გამოყენებული რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მიერ.

მიმაჩნია, რომ ჩვენ პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული საარჩევნო ადმინისტრაციის ჩამოყალიბების გზით უნდა ვიაროთ, მაგრამ 2004 წლის ხელახალი საპარლამენტო არჩევნებისათვის პოლიტიკურ ძალთა უფრო პარიტეტულად წარმოდგენა ნამდვილად იქნებოდა წინგადადგმული ნაბიჯი.

თავად საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცესში წარმოშობილმა სიძნელეებმა ცენტრალური საარჩევნო კომისია აიძულა, თავისი დადგენილებით ნება დაერთო საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის, რომ მათ შეექმნათ სპეციალური ჯგუფები არჩევნების დღეს საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის დახმარების გასაწევად. სამწუხაროდ, ვერ შევძელით მკაფიოდ განგვესაზღვრა სპეციალურ ჯგუფებში მოქალაქეთა შერჩევის მექანიზმები, რამაც კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა ზღვარი საარჩევნო ადმინისტრაციასა და პარტიულ სტრუქტურებს შორის.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიფიქროთ საარჩევნო ადმინისტრაციის კვალიფიკაციის სრულყოფაზე. ამ პრობლემამ თავი იჩინა კენჭისყრის, ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცესშიც, იმის მიუხედავად, რომ საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ დიდი სამსახური გაუწიეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ქვედა დონის კომისიების მომზადების საკითხში.

ვფიქრობ, კვალიფიკაციის ამაღლება სჭირდება თავად ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და მის აპარატს. სასიცოცხლოდ აუცილებელია საარჩევნო ადმინისტრაციის შიდა რეფორმები, განსაკუთრებით ცენტრალურ საარჩევნო კომისიის აპარატის ეფექტური ადმინისტრაციული საქმიანობისათვის.

## ამომრჩეველთა სიები

ამომრჩეველთა სიების ფორმირების წესის იმგვარად განსაზღვრა, როგორადაც ეს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გააკეთა 2004 წლის 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისათვის, გადაუდებელი აუცილებლობით იყო გამოწვეული. საქართველოს მოქალაქეთა შესახებ სახელმწიფო უწყებების ხელთ არსებული ინფორმაციის არასრულყოფილებამ განაპირობა ის, რომ ქართველ ამომრჩეველს კვლავ მოუწია თავის ძალისხმევის ჩართვა ამ პროცესში.

2004 წლის გაზაფხულის ხელახალი საპარლამენტო არჩევნებისათვის საარჩევნო ადმინისტრაციამ უნდა შეძლოს 2004 წლის 4 იანვრის ამომრჩეველთა ხელნაწერი სიების კომპიუტერიზაცია და საარჩევნო რეგისტრაციის დამატებითი პერიოდის განსაზღვრა მხოლოდ იმ ამომრჩევლებისათვის, რომელთაც არც 15-27 დეკემბერს გაუვლიათ საარჩევნო რეგისტრაცია და არც 2004 წლის 4 იანვარს მოსულან საარჩევნო უბნებზე. საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ამორჩევლად დარეგისტრირდა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დღემდე ან არჩევნების დღეს, უნდა მივცეთ სრული გარანტია, რომ იგი ნამდვილად იქნება ამომრჩეველთა სიაში.

ვიდრე საქართველოში არ მოწესრიგდება სამოქალაქო რეგისტრაციის საკითხი, პრობლემად დარჩება საარჩევნო რეგიტრაციის საკითხიც. ძირეული რეფორმა სამოქალაქო რეგისტრაციის სფეროში უკვე საპარლამენტო არჩევნების შემდეგ უნდა გატარდეს.

## ამომრჩევლის მარკირება

იმის მიუხედავად, რომ 2004 წლის 4 იანვარს "საარჩევნო კარუსელი" ანუ მრავალჯერადი ხმის მიცემა არ დაფიქსირებულა, ამომრჩევლის მარკირების პროცედურა, როგორც "საარჩევნო კარუსელისაგან" დამცავი მექანიზმი, აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს 2004 წლის გაზაფხულის ხელახალ საპარლამენტო არჩევნებზე. ამის აუცილებლობას კვლავაც განაპირობებს ამომრჩეველთა სიების ფორმირებასთან დაკავშირებული სიძნელეები.

თუმცა მასშტაბური არ ყოფილა, მაგრამ იყო ამომრჩევლის მხრიდან მარკირებისათვის თავის არიდების ერთეული ფაქტები. ეს იმდენად საუბნო საარჩევნო კომისიების არაკვალიფიციურობის ბრალი არ ყოფილა, რამდენადაც - საზოგადოების გარკვეულ ნაწილში არსებული უარყოფითი დამოკიდებულებისა ამომრჩევლის მარკირების პროცედურის მიმართ. ვფიქრობ, უნად გარგძელდეს საინფორმაციო კამპანია მარკირების პროცედურის პოპულარიზაციისათვის.

## მედია

მედიამ უდიდესი როლი ითამაშა ამომრჩევლის ინფორმირების და, ზოგადად, საარჩევნო პროცესის გაშუქების თვალსაზრისით, მაგრამ სასურველია, 2004 წლის გაზაფხულის საპარლამენტო არჩევნებისათვის მედია უფრო მეტად ნეიტრალური სახით წარდგეს ამომრჩევლის წინაშე.

თუმცა კანონი ამას ავალებს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არ გააჩნია ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსი მედია მონიტორინგის განსახორციელებლად. 2004 წლის გაზაფხულის საპარლამენტო არჩევნებისათვის რომც არ მოესწროს ამ სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება საარჩევნო ადმინისტრაციაში, უნდა ვიცოდეთ, რომ ამ საკითხს ნამდვილად სჭირდება მოწესრიგება.

## ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა არჩევნებში

ერთადერთი, რაც საარჩევნო ადმინისტრაციამ ეროვნული უმცირესობების ინფორმირებისა და საარჩევნო პროცესში მათი უფლებების რეალიზების თვალსაზრისით მოასწრო, ამომრჩევლის რეგისტრაციის ფორმების აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე, ხოლო საარჩევნო ბიულეტენების რუსულ ენებზე დაბეჭდვა იყო. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა საუბნო და საოლქო შემაჯამებელი ოქმებისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის მომზადება აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე, რაც აუცილებლად უნდა გაკეთდეს 2004 წლის გაზაფხულის ხელახალი საპარლამენტო არჩევნებისა და ყველა მომდევნო არჩევნებისათვის.

და ბოლოს, მსურს კიდევ ერთხელ მადლობა ვუთხრა ქართველ ამომრჩეველს, საქართველოს ხელისუფლებას, საერთაშორისო საზოგადოებას, ადგილობრივ მეთვალყურეებსა და ჟურნალისტებს იმისათვის, რომ სარჩევნო ადმინიტრაციამ მათი დახმარებით შეძლო საქართველოში წინა არჩევნებისაგან განსხვავებული არჩევნების ჩატარება.

*ზურაბ ჭიაბერაშვილი*
*თბილისი, 8 იანვარი*

bp btc SCP South Caucasus Pipeline

ბი-პი-ს (BP) საქართველოში იცნობენ, როგორც დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (ბაქო-სუფსა), ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთკავკასიური გაზსადენის პროექტების ოპერატორ კომპანიას. ბაქო-სუფსის ნავთობსადენიდან მიღებულ შემოსავლებთან ერთად ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენმა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენმა საქართველოს ბიუჯეტში მილიონები უნდა შემოიტანოს და კასპიის რეგიონი მსოფლიო ბაზარზე ენერგორესურსების მიმწოდებელ უმნიშვნელოვანეს წყაროდ აქციოს. ქვეყნის ბიუჯეტში წლიური შემოსავალი 50-70 მილიონი დოლარი, სამხრეთკავკასიური გაზსადენით ყოველწლიურად გადაზიდული ბუნებრივი აირის 5%-ი, ასევე განსაკუთრებულ, პრივილეგირებულ ტარიფში ნახევარი მილიარდი კუბური მეტრი აირის შეძენის შესაძლებლობა... ასეთი პრივილეგიებით საქართველო 2009 წლიდან, მილსადენების სრული სიმძლავრით ამოქმედების შემდეგ ისარგებლებს. მანამდე კი აღნიშნული პროექტების ფარგლებში საქართველოში სხვადასხვა პროგრამები ხორციელდება.

საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის (სიპ) განხორციელება ა.წ. მარტის თვეში დაიწყო და 2006 წლის თებერვლის ბოლომდე გაგრძელდება.

საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამას საფუძვლად უდევს მარტივი მაგრამ მნიშვნელოვანი განაცხადი: "ჩვენთვის მიუღებელია შემოვიდეთ ქვეყანაში, გავიყვანოთ ნავთობსადენი, ვნახოთ მოგება და არ ვიზრუნოთ ადგილობრივ მოსახლეობაზე," ამბობს როჯერ ნანი, BP აზერბაიჯანის ვიცე პრეზიდენტი.

ბი-პი-სა და მისი პარტნიორებისთვის (ბაქო-თბილისი ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტებში) ცხადი იყო, რომ პროექტებისადმი მოსახლეობის მხარდაჭერას, ისეთ პოლიტიკურად და ეკონომიკურად არასტაბილურ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, დიდი წვლილის შეტანა შეუძლია მილსადენისათვის უსაფრთხოების გარანტიის უზრუნველყოფაში.

ასე დაიბადა საზოგადოებრივი ინვესტირების რამოდენიმემილიონიანი პროგრამა. მის ფარგლებში სპეციალურად შერჩეულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთაც ამის გამოცდილება აქვთ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის მშენებლობის პროცესის ზემოქმედების სფეროში მცხოვრები მოსახლეობისთვის სხვადასხვაგვარი დახმარება უნდა გაეწიათ: ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (სკოლების, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების, გაზსადენების, ხიდების, გზების, სარწყავი სისტემების და ა.შ. აღდგენა-რეკონსტრუქცია), მიკრო და მცირე ბიზნესის (მიკროსესხების გაცემა) და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, ენერგიის გამოყენების ეფექტურობის ზრდა.

2002 წელს BP-სა და მისი პარტნიორების ინიციატივით შექმნილმა საბჭომ, რომელშიც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების (DFID, USAID, EU, UNDP და თვად BTC და SCP ) წარმომადგენლები გაერთიანდნენ, ტენდერში გამარჯვებული 2 არასამთავრობო ორგანიზაცია გამოავლინა, რომელსაც აღნიშნული პროგრამის რეალიზება დაევალა. მილსადენის დასავლეთის მონაკვეთზე (წალკა, ბორჯომი, ახალციხე, ადიგენი) პროგრამის განხორციელება Care International-ს, აღმოსავლეთ ნაწილში (გარდაბანი, მარნეული, თეთრიწყარო) კი Mercy Corps დაეკისრა.

ტენდერში გამარჯვებულმა ორმა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ მათ მიერ წარმოდგენილი მრავალი სექტორის მომცველი პროექტის განხორციელებისათვის პარტნიორებად სხვა არასამთავრობო, ადგილობრივი ორგანიზაციები შეარჩიეს.

როგორც Care International-ი, ასევე Mercy Corps-ი, "საქართველოს ტექნიკური დახმარების ფონდთან, ფონდ "კონსტანტასთან" და "კურაციოსთან" თანამშრომლობს. "საქართველოს ტექნიკური დახმარების ფონდი" ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაში მონაწილეობს და საგანგებო მდგომარეობაზე შეხვედრისა და ობიექტზე უსაფრთხოების დაცვის საკითხებზე ტრენინგებს ატარებს. ფონდი "კონსტანტა" ჯგუფური სესხების გაცემას კურირებს, "კურაციოს" კი პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების, ჯანმრთელი გარემოს, მოხუცებულთათვის ფსიქო-სოციალური ტრენინგების ჩატარება, დახმარება და პროგრამის ფარგლებში შერჩეული სამედიცინო პუნქტების აღჭურვაში ხელშეწყობა ევალება.

გარდა ამისა, Mercy Corps-ს კიდევ ერთი პარტნიორი, არასამთავრობო ორგანიზაცია "ელკანა" ჰყავს, რომლის წარმომადგენლებიც ადგილობრივ მოსახლეობას სოფლის მეურნეობის დარგში კონსულტაციებს უწევენ, ამ მიზნით სოფლებში სპეციალური საჩვენებელი ფერმები იქმნება. მოსახლეობისათვის ახალი ტექნოლოგიების გაცნობა და ტყის განაშენიანებაც მათ საქმიანობაში შედის. მილსადენის დასავლეთ მონაკვეთზე ამ სფეროს თავად Care International-ი კურირებს.

Care International ი "კონფლიქტების და მოლაპარაკებათა საერთაშორისო ცენტრთანაც" თანამშრომლობს, რომლის წარმომადგენლებიც მოსახლეობას კონფლიქტების მართვასა და მოლაპარაკებების წარმოებას ასწავლიან.

ყველაზე რთული მოსახლეობის ნდობის მოპოვება აღმოჩნდა... ქვეყანაში სადაც ათასობით ადამიანი უმუშევარია, სადაც საშუალო ოჯახური დანახარჯი შემოსავალს აღემატება, სოფლებში სადაც ელემენტარული სამედიცინო პუნქტიც არ არსებობს... სადაც ბავშვების გარკვეული ნაწილი სკოლაში მხოლოდ იმიტომ არ დადის, რომ ჩასაცმელი არ აქვს, ან სკოლა ზამთარში არ თბება... სადაც იმის გამო, რომ წყალგაყვანილობის მილები დაძველებულია და დაზიანებულია მოსახლეობას წყალი თვეობით არ მიეწოდება არავის სჯერა რომ შესაძლებელია ვინმე უსასყიდლოდ დაეხმაროს...

მიუხედავად სიძნელეებისა, პროექტის განხორციელება გარკვეული წარმატებით დაიწყო.

რა უნდა გაკეთდეს თითოეულ სოფელში: წყალგაყვანილობის სისტემა აღდგეს, გზები დაიგოს თუ სკოლა აშენდეს, ეს თავად ადგილობრივი მოსახლეობის გადასაწყვეტია. თითოეული სოფელი ე.წ. საინიციატივო ჯგუფს ირჩევს, რომელშიც ის ადამიანები ერთიანდებიან, ვისაც მოსახლეობა ენდობა. Care-ი, Mercy Corps-ი და მათი ქართული პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები საინიციატივო ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობენ. მას შემდეგ რაც გადაწყვეტილება მიღებულია, პრიორიტეტული პროექტი შერჩეულია, საინიციატივო ჯგუფის წევრებს (არასამთავრობო ორგანიზაციების წევრების დახმარებით) თავად უწევთ პროექტის მომზადება და დაწერა...ხშირად ცხოვრებაში პირველად... თუმცა, ამასაც სწავლობენ. გარემოსდაცვითი და სოციალური პროგრამების მენეჯერის, მარია ეიკროვის თქმით, "ადგილობრივი მოსახლეობა თვითონაა ყოველივეს აქტიური მონაწილე, პროექტის განხორციელების ასეთი გზა კი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების საწინდარია"

თითოეულ პროექტში არასამთავრობო ორგანიზაციის წვლილი დაახლოებით 75%-ია, დანარჩენი 25%-ი კი მოსახლეობაზე მოდის. თუმცა მათი კონტრიბუცია არა ფინანსურ, არამედ კვალიფიციურ თუ არაკვალიფიციურ მუშახელს, მასალებს, ტრანსპორტირებას ითვალისწინებს...

საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა კვლავაც გრძელდება, პირველი შედეგები უკვე სახეზეა:

- საზოგადოების საინიციატივო ჯგუფები შეიქმნა 71-დან 67 დასახლებაში.
- დასრულებულია მცირე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 43 პროექტი. მიმდინარეობს 34 პროექტის განხორციელება.
- განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო სადემონსტრაციო პროექტებიც. შეიქმნა 214 სადემონსტრაციო ფერმა, დარიგდა კარტოფილის თესლი, ამ ეტაპზე ყველა ფერმაში მოსავალი აღებულია. 1000 ფერმერმა გაიარა ტრენინგი
- 359 ჯგუფმა (რაც მოიცავს 1812 ადამიანს) მიიღო მცირე სესხები.
- 45 სოფელში (157 ადამიანი) ჩატარდა პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგები.

და ბოლოს, როგორც მარია ეიკროვი აცხადებს საზოგადოებრივი ინვესტირების განხორციელებისათვის დამატებით 3 მილიონი დოლარი გამოიყოფა და BP და მისი პარტნიორები აღნიშნული ფონდების ეფექტური ინვესტირების მეთოდებს განიხილავენ.

care კონსტანტა C.I.F. ICCN TAG Mercy Corps TAG კონსტანტა C.I.F.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა ნიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

მოკლედ

## ტონი ბლერის მილოცვა

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა მიხეილ სააკაშვილს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მას საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე არჩევა მიულოცა. ამის შესახებ ჟურნალისტებს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბილ რამელმა აცნობა.

"განსაკუთრებით სასიხარულო იყო, რომ ეუთო-ს დამკვირვებლებმა აღნიშნეს მნიშვნელოვანი პროგრესი საარჩევნო პროცესში 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით," - განაცხადა რამელმა. მან პრესის წარმომადგენლებს შეახსენა, რომ დიდმა ბრიტანეთმა ეუთო-ს 500 ათასი გირვანქა სტერლინგი გამოუყო საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში საერთაშორისო დამკვირვებელთა მუშაობის დასაფინანსებლად.

"უახლოეს თვეებსა და წლებში საქართველოს დიდი სიძნელეები ელის," - თქვა ბრიტანელმა დიპლომატმა. მან აღნიშნა, რომ "დიდი ბრიტანეთი, თავის საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, მზად არის ახალ ადმინისტრაციას დაეხმაროს დიდი ხნის ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების დაძლევაში, რათა ამ ქვეყანამ საკუთარი, განსაკუთრებული როლი შეასრულოს მსოფლიო გაერთიანებაში".

ბილ რამელმა ჟურნალისტებს ასევე აცნობა, რომ დიდი ბრიტანეთის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში ბრაიან ფოლი საქართველოს მომავალ კვირას ეწვევა, თავად კი საქართველოში ვიზიტს "უახლოეს მომავალში" გეგმავს.

*ინტერ-პრესი*

## აშშ საქართველოს ახალ ხელისუფლებას ეკონომიკის აღდგენაში, კორუფციასთან ბრძოლასა და რეფორმების განხორციელებაში დაეხმარება

აშშ საქართველოს ახალ ხელისუფლებას ეკონომიკის აღდგენაში, კორუფციასთან ბრძოლასა და რეფორმების განხორციელებაში დაეხმარება. ამის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა განაცხადა.

აშშ-ს დედაქალაქში გამართულ ბრიფინგზე ბაუჩერმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ ვაშინგტონი თბილისს საგარეო დავალიანების შემცირების შესახებ მოლაპარაკებაში დახმარებას გაუწევს, თუმცა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯერ საქართველომ უნდა მიიღოს საბიუჯეტო ხარჯების შემცირებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

*ინტერ-პრესი*

# სატელეფონო ხაზზეა ჯორჯ ბუში

საპრეზიდენტო ფიცის დადებამდე 12 დღით ადრე სააკაშვილი თეთრ სახლში უკვე ოფიციალურად დაპატიჟებულია.

ვაშინგტონის დროით დილის შვიდ საათსა და 45 წუთზე პრეზიდენტმა ბუშმა კრწანისის რეზიდენციაში დარეკა და მიხეილ სააკაშვილს ოცი წუთის განმავლობაში საპრეზიდენტო არჩევნებზე და საქართველოში დემოკრატიის განვითარებაზე ესაუბრა. საუბარი შეეხო ასევე ორი ქვეყნის ურთიერთობას, მომავალ თანამშრომლობას და თეთრი სახლის მხარდაჭერას.

**"დიდი მადლობა. ჩვენ ძალიან ვამაყობთ ჩვენი ხალხით იმ გამბედაობისთვის, რაც რევოლუციის პროცესში გამოიჩინა. აქვე მინდა აღვნიშნო თქვენი პირადი როლი სამართლიანი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ამ პროცესებმა დასაბამი მისცა სრულიად ახალ სახელმწიფოს,"** – მშობლიურ ენაზე მოისმინა ბუშმა კრწანისის რეზიდენციიდან.



*მიხეილ სააკაშვილი ჯორჯ ბუშთან საუბრისას.*

სააკაშვილი შეჰპირდა ბუშს, რომ საქართველო დემოკრატიის მხრივ სამაგალითო ქვეყანა იქნება დასავლეთ ევროპაში. როგორც პრეზიდენტის პრეს-მდივანი გიორგი არველაძე აცხადებს, სატელეფონო საუბარში ბუშმა ქართველი ხალხის სიმამაცე თავადაც შეაქო.

გუშინვე მიხეილ სააკაშვილი ესაუბრა აშშ სახელმწიფო მდივანს კოლინ პაუელს. კოლინ პაუელმა ხაზი გაუსვა საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობების მნიშვნელობას და დაინტერესდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებით.

*24 საათი*

# ნინო ბურჯანაძისა და თურქეთის პრეზიდენტის სატელეფონო საუბარი

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ნინო ბურჯანაძესა და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს აჰმედ ნეჯეთ სეზერის შორის 6 იანვარს სატელეფონო საუბარი შედგა. პრეზიდენტებმა, უწინარესად, ახალი წელი მიულოცეს ერთმანეთს. ნინო ბურჯანაძემ თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან საუბრისას აღნიშნა, რომ ამ სატელეფონო ზარის მიზეზი, 25 იანვარს დაგეგმილ ინაუგურაციაზე მოპატიჟება იყო. თურქეთის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა მოპატიჟებისთვის მას, თქვა, რომ მაქსიმალურად ეცდება გამონახოს დრო და ჩამოვიდეს საქართველოში, ქვეყნისთვის ესოდენ მნიშვნელოვან დღეს.

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, თავის მხრივ, მადლობა გადაუხადა თურქეთის მხარეს გაწეული დახმარებისათვის, კერძოდ, თურქი დამკვირვებლების აქტიურობისთვის არჩევნების მონიტორინგის პროცესში, რომლებმაც დადებითად შეაფასეს არჩევნების მსვლელობა.

აჰმედ ნეჯეთ სეზერიმ აღნიშნა, რომ საქართველომ მართლაც სამაგალითოდ გამართა საპრეზიდენტო არჩევნები და იმედი გამოთქვა, რომ ქვეყნის მოსახლეობის ასეთი დიდი მხარდაჭერით არჩეული პრეზიდენტი კიდევ უფრო გააღრმავებს მეზობელი ორი ქვეყნის ურთიერთობას. მან მნიშვნელოვანად მიიჩნია ეთქვა ისიც, რომ თურქეთის რესპუბლიკა მზად არის ჩვენს ქვეყანას კვლავინდებურად აღმოუჩინოს ნებისმიერი სახის დახმარება, ვინაიდან თურქეთისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, საქართველომ შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა და გახდეს ძლიერი სახელმწიფო. აჰმედ ნეჯეთ სეზერიმ იმედი გამოთქვა, რომ თურქეთ-საქართველოს მომავალი თანამშრომლობა კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება ორი ქვეყნისათვის.

*სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური*

# აფხაზეთში ელექტრომატარებლების მოძრაობა შეჩერდა

სოხუმი-ფსოუს მიმართულებით ელექტრომატარებლების მოძრაობა დროებით შეჩერებულია. ამის მიზეზი გახდა ამ დღეებში მატარებელში აღმოჩენილი საათის მექანიზმიანი ნაღმი, რომელიც მაშინ იპოვეს, როდესაც მატარებელი გუდაუთის რაიონში იმყოფებოდა. აფხაზ სეპარატისტთა ე.წ. უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა ნაღმის გაუვნებელყოფა მოახერხეს. ადგილზე ასევე ოპერატიულად გამოცხადდა ე.წ. შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო ჯგუფი, რომელმაც მოკვლევა ჩაატარა. ამ ფაქტის შესახებ გუშინ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ჯერჯერობით, უცნობია, რა პერიოდით შეიზღუდება ელექტრომატარებლის მოძრაობა.

*მედია-ნიუსი*

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ ბიუროში გახსნილი ცხელი ხაზის მეშვეობით შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ნარკოტიკების ბრუნვისა და ამ უკანონო ბიზნესში პოლიციელთა მონაწილეობის შესახებ.**

**თქვენი ანონიმურობა გარანტირებულია.**

**ცხელი ხაზის ტელეფონებია:**

**98 27 50; 98 71 50; 99 11 28.**

**შსს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიურო**

## "თბილგაზი" გაფრთხილებს!

"თბილგაზი" მოუწოდებს ყველა სამრეწველო და კომუნალურ მომხმარებელს, რომ ამა წლის 15 იანვრამდე მობრძანდნენ "თბილგაზის" სათაო ოფისში და შემოიტანონ განაცხადი იანვარ-თებერვალში მათთვის აუცილებელი გაზის მიწოდების თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ 16 იანვრიდან ბუნებრივი აირის მიწოდება გაუფრთხილებლად შეუწყდებათ. "თბილგაზის" მარკეტინგისა და დისტრიბუციის სამსახურში განაცხადები მიიღება 8-დან 15 იანვრის ჩათვლით ყოველდღე, 10-დან 18 საათამდე.

**"თბილგაზის" მმართველი კომპანია "ახალი მენეჯმენტი"**

**მისამართი: თბილისი, მიცკევიჩის 18 ა.**

ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის ნაძალადევის საარჩევნო ოლქის შემაჯამებელ ოქმს ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნები“ სასამართლოში ასაჩივრებს. „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენლის თქმით, ამ ოლქის შემაჯამებელ ოქმში ციფრებია ჩასწორებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგარეო საქმეთა მინისტრი თედო ჯაფარიძე მოსკოვში გაემგზავრა, სადაც რუსეთის თავდაცვის უწყების პირველ პირებს შეხვდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ბაქო.** 2003 წელს აზერბაიჯანმა გადალახა ღარიბი ქვეყნების რეიტინგი - ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობამ 800 დოლარი შეადგინა. ამის შესახებ სააგენტო "ტრენდს" აზერბაიჯანის ეროვნული ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ ელმარ რუსტამოვმა განუცხადა. შარშან აზერბაიჯანში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანმა შიდა პროდუქტმა 850 ამერიკული დოლარი შეადგინა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სამტრედიის ქუჩის ასახვევთან საშუალო წნევის გაზსადენზე მომხდარი ავარიის გამო გაზის მიწოდება დროებით შეუწყდება წერეთლის გამზირის, სამტრედიისა და მირცხულავას ქუჩების, ნაძალადევის რაიონის ერთი ნაწილის და დიღმის დასახლების მცხოვრებლებს. როგორც "თბილგაზში" განაცხადეს, გაზის მიწოდება მოსახლეობას დაახლოებით 16.00 საათიდან შეუწყდება. სარემონტო სამუშაოები მთელი ღამის განმავლობაში გაგრძელდება და დილით დასრულდება. გაზის მოწოდება ხვალ 12.00 საათიდან აღდგება. **ინტერ-პრესი**




# დავით მირცხულავას ბადრაგირებას პროკურატურა შსს-ს აბრალებს, შსს კი პროკურატურას


*ეკა ბესელია მირცხულავასთვის ბადრაგის მიჩენას აპროტესტებს.*

*თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ეჭვმიტანილი სემეკ-ის თავმჯდომარის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი, ჯერჯერობით, არ ცხრება. მე-9 საავადმყოფოს კარდეოლოგიურ, ე.წ. ხაბეიშვილის კლინიკაში კორონოგრაფიული გამოკვლევის ჩასატარებლად გადაყვანილ დავით მირცხულავას გუშინწინ, გვიან ღამით, შსს-ს გაძლიერებული ბადრაგი ესტუმრა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

ბადრაგის წევრები მირცხულავას სანახავად პალატაში ოჯახის წევრებსაც არ უშვებენ. მირცხულავას ოჯახის წევრთა განცხადებით, აღნიშნული ქმედება სემეკ-ის თავმჯდომარის დაპატიმრების ტოლფასია. შსს-ს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლები, რომლებმაც ენერგეტიკის ექსმინისტრის პალატა გაამაგრეს, არ აკონკრეტებენ, თუ რამდენი ხანი აპირებენ საავადმყოფოში დარჩენას.

დავით მირცხულავას ადვოკატი ეკა ბესელია აცხადებს, რომ ავადმყოფის პალატასთან ბადრაგის დაყენებას გენერალური პროკურატურა და შს სამინისტრო ერთმანეთს აბრალებს. **"პროკურატურაში აცხადებენ, რომ მირცხულავასთვის ბადრაგის დაყენება არ მოუთხოვიათ და ამის თაობაზე არაფერი იციან, შს მინისტრი გიორგი ბარამიძე კი ამბობს, რომ ეს დავალება პროკურატურისგან მიიღო",** - ამბობს ეკა ბესელია.

მისივე განცხადებით, პოლიციელებს არ გააჩნიათ არანაირი იურიდიული დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მირცხულავას ბადრაგი მიუჩინეს.

ეკა ბესელიას განცხადებას პროკურატურისა და შსს-ს წარმომადგენლებიც ადასტურებენ. შსს-ს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსის ზაზა ფერაძის ინფორმაციით, მირცხულავას პალატასთან სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს თანამშრომლები დგანან.

სამინისტროს გუშინ წერილით მიმართა გენერალურმა პროკურატურამ და მოითხოვა, მიეღოთ შესაბამისი ზომები, რათა მირცხულავას საქართველოს დატოვება ვერ მოეხერხებინა. თუმცა, ზაზა ფერაძის თქმით, წერილში არ იყო საუბარი მირცხულავას პალატასთან ბადრაგის დაყენებაზე. **"უბრალოდ, პროკურატურა ზომების გატარებას მოითხოვდა. საავადმყოფოში ბადრაგირება არც ხდება. სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს თანამშრომელი მხოლოდ მეთვალყურეობას უწევს მირცხულავას პალატას",** – აცხადებს ზაზა ფერაძე.

რადიკალურად განსხვავებულ განცხადებას აკეთებს გენერალური პროკურატურა. გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის წარმომადგენლები სემეკ-ის თავმჯდომარისთვის ბადრაგის მეთვალყურეობის დაწესებას უკანონოდ მიიჩნევენ.

გენერალური პროკურატურის გამომძიებლის პაატა ჯაველიძის განცხადებით, საგამოძიებო ჯგუფს ბადრაგის დანიშვნის შესახებ შუამდგომლობა არავისთვის წარუდგენია. მისივე განცხადებით, კანონის თანახმად, მათ მირცხულავას ბადრაგი მაშინ მოუხსნეს, როცა სემეკ-ის თავმჯდომარეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ბრალი ვერ წაუყენეს.

დავით მირცხულავას ადვოკატმა ეკა ბესელიამ შს სამინისტროს წერილობით მიმართა და პალატასთან დაბანაკებული ბადრაგის დაუყოვნებლივ მოხსნა კატეგორიულად მოითხოვა.

**"შსს-ს მოქმედება თვითნებური და უკანონოა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით პასუხისმგებლობას საქართველოს გენერალური პროკურატურა შსს-ს აკისრებს და პირიქით, სამინისტრო – პროკურატურას. საავადმყოფოდან დაუყოვნებლივ უნდა მოაშორონ ჯაშუშები,"** – ამბობს ბესელია.

ეკა ბესელიას ინფორმაციით, აჟიოტაჟის გამო განერვიულებულ დავით მირცხულავას გუშინ, დილით, გულის შეტევა სამჯერ დაემართა. **"მირცხულავას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, მე, როგორც ადვოკატი, პასუხიმგებლობას საქართველოს გენერალურ პროკურორს ნუგზარ გაბრიჩიძეს და შინაგან საქმეთა მინისტრს გიორგი ბარამიძეს ვაკისრებ,"** – ასეთია ადვოკატის პოზიცია.

# უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ერთწლიანი ანგარიში

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ლადო ჭანტურიას მოხსენებაში, რომელიც ეხება 2003 წლის განმავლობაში მართლმსაჯულების მდგომარეობას საქართველოში, ნათქვამია, რომ 2003 წელს უზენაეს სასამართლოში 209 საქმე დისციპლინური სამართალწარმოების წესით განიხილეს; მათ შორის - 27-ზე აღიძრა დისციპლინური დევნა, 18 საქმეზე პასუხისგებაში მიეცა 23 მოსამართლე, ხოლო ცხრა საქმე ამჟამად განხილვის სტადიაშია.

სხვადასხვა გადაცდომის გამო გასულ წელს რვა მოსამართლეს სარეკომენდაციო ბარათი მისცეს, ამდენივეს — შენიშვნა, ორ მოსამართლეს — საყვედური, ორ მოსამართლეს მკაცრი საყვედური გამოუცხადეს, ხოლო სამი მოსამართლე თანამდებობიდან გაათავისუფლეს. გათავისუფლებულთა შორის არიან: გარდაბნის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ალექსანდრე ჩხეიძე, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ქეთევან ბახტაძე და თბილისის ისანი-სამგორის რაიონის სასამართლოს მოსამართლე კობა ქამხაძე.

იმავე მოხსენებაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე სასამართლოში არსებულ კორუფციულ ფაქტებს არ უარყოფს, თუმცა ამტკიცებს, რომ სასამართლოებში არ არსებობს სისტემური კორუფცია, რომელიც ყოველთვის დამახასიათებელი იყო ქართული სასამართლოსათვის.

ჭანტურიას განცხადებით, კორუფციული ფაქტების გამოვლენა სამართალდამცავი ორგანოების აქტიური მოქმედების გარეშე ძალიან ძნელია. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ „არ არსებობს კორუფციული კავშირები სასამართლო ინსტანციებს შორის. ეს ძალიან მნიშვნელოვანი წინაპირობაა იმისათვის, რომ ბრძოლა ამ სენის წინააღმდეგ სასამართლო სისტემაში შესაძლებელი გახდეს".

"სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის სასამართლო მაინც რჩება გამორჩეულ დაწესებულებად, რომელსაც დარღვეული უფლებების დასაცავად სულ უფრო მეტად მიმართავენ მოქალაქეები", - ნათქვამია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოხსენებაში.

უზენაესი სასამართლოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გასულ წელს საგრძნობლად გაიზარდა სასამართლოში შესული და განხილული საქმეების ოდენობა. 2003 წელს საერთო სასამართლოებში 130.000-ზე მეტი საქმე განიხილეს, რაც 20.000-ით აღემატება 2002 წლის ანალოგიურ მონაცემს.

2003 წელს, 2002 წელთან შედარებით, 6,2 პროცენტით გაიზარდა მკვლელობის საქმეთა რაოდენობა. ყაჩაღობის საქმეთა რაოდენობამ - 7,1 პროცენტით, ნარკოდანაშაულის - 5,7 პროცენტით, ქურდობის - 21.5 პროცენტით, ფალსიფიკაციის 16,3 პროცენტით იმატა.

*მედია-ნიუსი*

## მოკლედ

**თბილისი.** შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა გუშინ, დილით, გორთან დააკავეს ცხინვალიდან მომავალი მსუბუქი ავტომანქანა, რომლის საბარგულშიც მოთავსებული იყო 14 ცალი ტომარა დაახლოებით 350 კილოგრამი ყაყაჩოს თესლით. ტომრები ზემოდან სხვადასხვა სახის დაფასოებული სასურსათო პროდუქტებით იყო დაფარული. ავტომანქანის მძღოლი დაკავებულია, ტვირთის პატრონმა კი მიმალვა მოახერხა. პოლიციამ მძღოლი უკვე დაკითხა. მან აღიარა, რომ ყაყაჩოს თესლი ცხინვალის ბაზრობაზეა შეძენილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საბაჟო დეპარტამენტის კრიმინალური სამსახურის თანამშრომლებმა სართიჭალა-გომბორის გზატკეცილზე ავტომანქანა „ფორდ-ტრანზიტი" დააკავეს. კრიმინალური სამსახურის ცნობით, ავტომანქანას მძღოლი თემურ მღებრიშვილი მართავდა, რომელსაც ფერადი ლითონების ჯართი უკანონოდ გადაჰქონდა. მას თან შესაბამისი დოკუმენტაცია არ აღმოაჩნდა. ამჟამად ამ ფაქტზე მიმდინარეობს მოკვლევა. ავტომანქანა ლილოს ტერმინალშია გადაყვანილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე პატიმართა 96.8 პროცენტმა მხარი პრეზიდენტობის კანდიდატ მიხეილ სააკაშვილს დაუჭირა. პატიმართა ხმების დათვლა მხოლოდ თბილისის ტერიტორიაზე არსებულ საპატიმროებში გახდა შესაძლებელი, სადაც მათთვის ცალკე საარჩევნო უბნები იყო გახსნილი. ზუგდიდში, ქუთაისსა და ბათუმში პატიმრების ხმები საერთო ამომრჩეველთა ხმებს შეერია, რადგან მათ ჩვეულებრივი საარჩევნო-გადასატანი ყუთის მეშვეობით მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა ხმის უფლების მქონე პატიმართა 97 პროცენტმა მიიღო. პატიმართა ასეთი აქტივობა არასოდეს დაფიქსირებულა. **მედია-ნიუსი**

# კ მ ა რ ა !

პირველი გვერდიდან

**გიორგი მელაძე:** უკვე ყველამ თვალნათლივ დაინახა, რომ აჭარაში თავისუფალი აზრი იდევნება, რომ აჭარა არ არის ის ოაზისი, სადაც ასლანმა მშვიდობა შეინარჩუნა. სტუდენტებს იჭერენ თავისუფალი აზრის გამოთქმისთვის. ახლა მხოლოდ აღშფოთება არ კმარა. ამაზე ყველა ერთად უნდა დავფიქრდეთ და ვიმოქმედოთ. ჩვენ არ გავჩერდებით, გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა გვაქვს; თუმცა, შესაძლოა, ეს გეგმა არც თუ ისე გრძელვადიანი აღმოჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვიმოქმედებთ მანამ, სანამ ასლან აბაშიძის კრიმინალური რეჟიმი არ დამთავრდება, სანამ არ წავა არა მხოლოდ ასლან აბაშიძე, არამდე მთელი მისი მაფიოზური კლანი, რომელიც აჭარის მოსახლეობას ატერორებს.

**გვანცა ლიპარტელიანი:** უნდა მოხდეს მთელი საზოგადოების მობილიზაცია. უპირველეს ყოვლისა, მასმედია უნდა იყოს ძალიან აქტიური. ჩვენ მივმართეთ დიპლომატიურ კორპუსს, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს, იმედი გვაქვს, რომ ამ საქმეში აქტიურად ჩაერევა ჩვენი ხელისუფლებაც.

**თეა თუთბერიძე:** გავრცელდა ინფორმაცია, რომ კმარელების სახლში ჩხრეკა იარაღის, ყალბი დოლარებისა და ნარკოტიკების ამოღების მიზნით ჩატარდა. ეს აშკარად მათი ხელწერა და მუშაობის მეთოდია. თუ გახსოვთ, თბილისში ცოტნე ბაკურიაც ცდილობდა, ჩვენთვის ნარკოტიკებისა და ჰომოსექსუალური ლიტერატურის გავრცელება დაებრალებინა. საზოგადოებამ მშვენივრად იცის, რატომ იჭერენ რეალურად ამ ახალგაზრდებს.

**გვანცა ლიპარტელიანი:** ძალიან მიკვირს, რატომ არ ყოფნის აბაშიძეს იმის ჭკუა, რომ ამგვარად არ იმოქმედოს. ეს ხომ, საბოლოო ჯამში, მისთვისვეა უფრო საზიანო.

**ასლანი:** ვარდების რევოლუციის შემდეგ ბათუმში სიტუაცია აშკარად შეიცვალა. ადრე ხალხი ხმის ამოღებას საერთოდ ვერ ბედავდა. დღეს კი, მართალია, რისკის ფასად, მაგრამ საკუთარი აზრის გამოთქმას მაინც ბედავენ. გამარჯვების იმედი უკვე არსებობს, თუმცა შიში მაინც ძალიან დიდია.

**ჯემალი:** მართალია, უფრო ახალგაზრდები ვაქტიურობთ, მაგრამ უფროსი თაობაც მხარს გვიჭერს. უბრალოდ, ისინი დიდი ხანია ამგვარ რეჟიმში ცხოვრებას მიეჩვივნენ და ეშინიათ. მთავარია, ახლა ერთი ტალღა აგორდეს და მერე ყველა ქუჩაში გამოვა - მოხუციც და ახალგაზრდაც. რაც ყველაზე სასიხარულოა, აჭარაში აზრი არ იყოფა კუთხური სეპარატიზმის მიხედვით. აი, ახლაც - ჩვენ სამს შორის ერთი აჭარელია. მთავრობა უკან არაფერზე დაიხევს. საქმე იქამდეა მისული, რომ ცეცხლსასროლ იარაღსაც გამოიყენებენ, მაგრამ უკან დახევას არც ჩვენ ვაპირებთ. მუშაობენ ყველანაირი მეთოდით: ქუჩაში დახვედრა, ცემა, შანტაჟი, მუქარა, დაპატიმრება.

**ბაკური:** მათი მუშაობის ყველაზე გავრცელებული ფორმა ნათესავების დაშინებაა. ახალგაზრდას მიუგზავნიან ნათესავებს, მეგობრებს. ახვეწნინებენ – "აქტიურობას თავი დაანებე, თორემ ყველა დავიღუპებითო". მაქსიმალურად იყენებენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რომ ადამინმა ან აქტიურობა შეწყვიტოს, ან ბათუმი საერთოდ დატოვოს; ამიტომ აუცილებელია, რომ ყველა აჭარელი, ვინც აჭარის გარეთაა და თავისუფალი აზრის მომხრეა, აჭარას დაუბრუნდეს. გარედან ლაპარაკი ადვილია. მთავარია, მოძრაობა ბათუმში არ ჩაკვდეს. ახლა აჭარის დატოვება არ შეიძლება, ამ დროს ყველა აჭარაში უნდა იყოს. ბათუმის ქუჩებში ყველა ჩვეულებრივად უნდა დადიოდეს, შიშის სინდრომი უნდა მოისპოს.

**ჯემალი:** ხალხი ძალიან შეშინებულია, არჩევნების დღეს საარჩევნო უბანთან კი მიდიოდნენ, მაგრამ თუ დაინახავდნენ, რომ სადმე კამერები მუშაობს, ხმის მისაცემად აღარ შედიოდნენ და გზას აგრძელებდნენ. ადამიანები ახლობლებსაც კი უმალავენ, რის გაკეთებას აპირებენ. დღეს აჭარა განგსტერების დროინდელ ამერიკას ჰგავს. იქ მაფიოზები ხალხს მანქანებიდან ცხრილავდნენ, აქ კი წაგიყვანენ და შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგისწორდებიან, მაგრამ მიზანს ამით მაინც ვერ მიაღწევენ. კიდევ ცოტაა საჭირო და ყველა ქუჩაში გამოვა.


*"კმარელები" აღშფოთებას ვერ მალავენ.*

# ჯემალ გოგიტიძემ ბრჭყალები გამოაჩინა

*საპრეზიდენტო არჩევნებში ავტონომიური რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ აჭარის ხელისუფლების თანხმობა იქ დიდი ცვლილებების დაწყების საწინდარი სულაც არ გამხდარა. საპრეზიდენტო არჩევნებიდან ორი დღის შემდეგ ბათუმში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ავტონომიის ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ ძალზე შორს არის დემოკრატიული მართვის პრინციპების დანერგვისაგან.*

სოფიკო ჩხაიძე

თავიდანვე ცხადი იყო, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ ჯემალ გოგიტიძის დანიშვნა აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრად უბრალოდ არ მომხდარა. რევოლუციის აჩრდილის შიშით აჭარის ლიდერის მხრიდან მას რომ მკაცრი სადამსჯელო ფუნქციები დაეკისრებოდა, ამაში ეჭვი გოგიტიძის გამინისტრებისთანავე არავის შეუტანია. მით უმეტეს, რომ შეუძლებელი იყო, ბათუმის ხელისუფლებას ყურადღების მიღმა დარჩენოდა აჭარის მოსახლეობის მოკრძალებული სიმპათია თბილისის ნოემბრის მოვლენების მიმართ, რომელიც უკვე 4 იანვარს, ბათუმის ქუჩებში გამართულ სახალხო ზეიმში საჯაროდ გამოვლინდა.

აშკარაა, რომ ბათუმური რეჟიმის შენარჩუნება გადამჭრელ ზომებს საჭიროებს და ამ ზომების მიღება, ცხადია, ოპოზიციური აზრის ხმამაღლა გამომთქმელთაგან დაიწყეს. ასე შემოელახათ "უცნობ" პირებს რამდენიმე საათით გატაცებული მემედ აბაშიძის სტიპენდიანტთა კავშირის თავმჯდომარე ლევან კაჭარავა. ასე შეუგდეს სამხედრო დანიშნულების მაშხალა "ახალი აჭარის" ერთ-ერთ დამფუძნებელს კახა მიქელაძეს, "კმარას" ბათუმელი აქტივისტების ოჯახებს კი იარაღისა და ნარკოტიკების უკანონოდ შენახვას აბრალებენ.

სწორედ ასე ახსნა აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრმა მოძრაობა "კმარას" აქტივისტების - ლევან ჩხარტიშვილისა და მიხეილ ხაჟომიას ბინების გაჩხრეკა და მათი ოჯახის წევრების დაკავება; თუმცა თავად დაკავებულთა ახლობლებს ეჭვიც არ ეპარებათ, რომ მათ წინააღმდეგ განხორციელებული სადამსჯელო ღონისძიებები მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და ბინებიდან გატანილი იარაღი და ყალბად მონათლული დოლარები (არა მარტო აჭარელი სამართალდამცველებისათვის კარგად ნაცნობი ხერხით) ჩადებულ იქნა.

ისე კი, გოგიტიძის დაქვემდებარებაში მყოფ აჭარის პოლიციას "კმარას" აქტივისტების დასატერორებლად საკმარისი პოლიტიკური საფუძველი ნამდვილად ჰქონდათ – საეჭვოა, ასლან აბაშიძისა და მისი ხელდასმული შინაგან საქმეთა მინისტრის თვალს საახალწლო-საშობაოდ სიამოვნება მიეღოთ ბათუმის ქუჩებში გაჩენილი წარწერებისგან, რომელთა ხელწერა მათი ავტორების შესახებ არავითარ ეჭვებს არ ბადებდა.

"კმარა ასლან აბაშიძის დიქტატურა!", "კმარა ჯემალ გოგიტიძის კრიმინალურ-სეპარატისტული ბანდა!", "ჩართეთ "რუსთავი-2!" – აჭარის ხელმძღვანელობა ამგვარი განცხადებების კითხვას ბათუმის ცენტრალურ ქუჩებში მიჩვეული არ გახლავთ, მით უმეტეს, რომ კარგად უწყიან, რა მოჰყვა ყოველივეს ამას თბილისსა და მთელ საქართველოში.

გუშინ "კმარას" აქტივისტების ოჯახის დაპატიმრებულ წევრებთან ადვოკატებიც კი არ შეუშვეს, დაპატიმრებულთა გულშემატკივრებთან კი, რომლებიც გუშინწინდელი ღამის შემდეგ აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან დგანან რაიმე სიახლის გაგების მოლოდინში, ჯემალ გოგიტიძე გამოვიდა და "ბრბო" უწოდა. ჯემალ გოგიტიძისგან ეს, ცხადია, არავის გაჰკვირვებია – აჭარაში უკვე ცოტა თუ მალავს თავის დამოკიდებულებას იქ არსებული წყობილებისადმი.

# დიქტატურა აჭარულად


*არასამთავრობო ორგანიზაციები აჭარული დიქტატურის წინააღმდეგ.*

*ბათუმში დაწყებულ რეპრესიებთან დაკავშირებით "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ოფისში შეკრებილმა არასამთავრობო ორგანიზაციის და საგაფიცვო კომიტეტის წარმომადგენლებმა საკუთარი პროტესტი დააფიქსირეს და ცენტრალურ ხელისუფლებას აჭარული დიქტატურისადმი მკვეთრი პოზიციის დაფიქსირება მოსთხოვეს.*

თამარ კაციტაძე

**"ის, რაც ბათუმში მოხდა, ამაზრზენი ფაქტია და იგი დემოკრატიული ქვეყნის არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. დანაშაულში ეჭვმიტანილების ნაცვლად მათი მამების, ოჯახის წევრების და ახლობლების დაპატიმრება შუა საუკუნეებისთვის იყო დამახასიათებელი და როგორც ჩანს, აჭარა დღესაც იმ პრინციპით ცხოვრობს, რაც ნებისმიერი ცივილური საზოგადოებისათვის მიუღებელია. ამიტომ, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულება და პოზიცია. ყველა ვალდებულია, იბრძოლოს რეგიონში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებისთვის,"** - განაცხადა გუშინდელ შეხვედრაზე "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავჯდომარემ ზაზა რუხაძემ.

შეკრებილთა განცხადებით, გუშინ საღამომდე თითოეული მათგანი ცდილობდა, გაერკვია, რამდენი ადამიანი იმყოფება, მათი თქმით, "ასლან აბაშიძის პირად ტყვეობაში", მაგრამ ამ ინფორმაციის დაზუსტება, შეუძლებელი აღმოჩნდა.

**"გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულია ექვსი პიროვნება, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ მათი რიცხვი გაცილებით მეტი იყოს. გუშინ ტელეფონით ვუკავშირდებოდი ჩვენი ორგანიზაციის წევრს ლევან ჩხარტიშვილს, მაგრამ დღის ბოლოს ტელეფონი გაითიშა და მის ასავალ-დასავალს ველარ მივაგენით. არ არის გამორიცხული, რომ ჩხარტიშვილი და ერთი მისი მეგობარიც დააპატიმრეს,"** - თქვა მოძრაობა "კმარას" აქტივისტმა თეა თუთბერიძემ.

**"ბათუმში დაწყებულ მოძრაობას, რომ ასლან აბაშიძის მხრიდან მწვავე რეაქცია მოყვებოდა, ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ ამ პროცესების შეჩერება უკვე შეუძლებელია. ის, რაც აჭარაში დღეს ხდება, დროის საკითხია. უახლოეს მომავალში აბაშიძესაც მოუწევს შევარდნაძის ბედის გაზიარება, მხოლოდ გაცილებით მწვავე ფორმით,"** – ასეთია "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრის გიგა ბოკერიას პოზიცია, რომელმაც ცენტრალურ ხელისუფლებას კონსტიტუციური უფლებებიც გაახსენა და თუ საჭირო იქნება, აჭარის ხელისუფლების დათხოვნის და საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებისკენ მოუწოდა.

**"მართალია, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ყველა ზეიმობს, მაგრამ ვიდრე აჭარა ასეთი წნეხის ქვეშ იმყოფება, არაფერი გვაქვს საზეიმო,"** - განაცხადა გოგა ხაინდრავამ.

**"ის, რომ ასლან აბაშიძე აგონიაშია და ძალადობაზე გადავიდა, ეს მისი უსუსური რეჟიმის აღსასრულის მაუწყებელია. დღემდე არ გახმაურებულა, რომ ბათუმში სააგიტაციო მასალების გავრცელებისთვის სკოლის მოსწავლეები დააპატიმრეს. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. მომხდარ ფაქტზე საკუთარი პოზიცია უნდა დააფიქსიროს გენერალურმა პროკურატურამაც, გამოითხოვოს მასალები და ყველაფერს რეალური სახელი დაარქვას. დაკავებულთა უსაფრთხოებაზე კი პასუხისმგებლობა ასლან აბაშიძეს, ჯემალ გოგიტიძეს და გიორგი აბაშიძეს უნდა დაეკისროთ.**

**აბაშიძე შევარდნაძის შეცდომას იმეორებს, რაც მის აღსასრულს აჩქარებს. თუმცა, ყოფილი პრეზიდენტისგან განსხვავებით, აჭარის მეთაურს ყველაფერი იმისთვის, რაც რეგიონში ხდება, სასამართლოზე მოუწევს პასუხის გაცემა,"** – გააფრთხილა ასლან აბაშიძე ლევან რამიშვილმა.

**"თავისუფალ სიტყვასთან ბრძოლა საპირისპიროდ შემოტრიალდება და უნიჭო რეჟიმის დამხობით დასრულდება. დიქრატურისა და თავისუფლების დაპირისპირება აუცილებლად ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდება და ეს ყველამ უნდა გააცნობიეროს,"** – ასეთია "დაუმორჩილებლობის კომიტეტის" წევრის ნიკა რურუას პოზიცია და ასე სწამს ყველა მის მეგობარს, რომლებიც დღეიდან კიდევ უფრო მეტი შემართებით აპირებენ აჭარული დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლას.

ეკონომიკა

# დავით კირვალიძე ახალ პრეზიდენტთან თანამშრომლობას აპირებს

სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი დავით კირვალიძე მზად არის, ახალ ხელისუფლებასთან აქტიურად ითანამშრომლოს და თუ ამ თანამდებობას ხელმეორედ შესთავაზებენ, მასზე უარის თქმას არ აპირებს. ასეთი ინფორმაცია გუშინ სააგენტო "მედია ნიუსმა" გაავრცელა.

კირვალიძე, კონსტიტუციის თანახმად, თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადებას პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ დაწერს. როგორც თავად აცხადებს, ახალი ხელისუფლების და ახლად არჩეული პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის კურსი აგრარულ საკითხებში ემთხვევა სამინისტროს პოლიტიკას და სამინისტროში შემუშავებული სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარების სტრატეგიას. ქართველ გლეხს, როგორც სოფლის მეურნეობის დარგს, აუცილებლად სჭირდება სახელმწიფო მხარდაჭერა სუბსიდირებისა და საგადასახადო შეღავათების სახით. ახალი ხელისუფლება, როგორც ჩანს, სწორედ ამ გზით აპირებს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მხარდაჭერას.


დავით კირვალიძე ახალი ხელისუფლებისგან პოსტის შეთავაზებას ელის.

დავით კირვალიძის ოპტიმიზმს, ცხადია, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის წარმატებული გამოცდილება "კვებავს", რამაც მინისტრი კირვალიძე ედუარდ შევარდნაძის დროს თანამდებობის დატოვებისგან ერთხელ უკვე იხსნა. ამასთან, იგი დღეს ხელისუფლებაში მოსული გუნდის წევრადაც მოიხსენიებოდა, თუმცა - არა მაინცდამაინც დღევანდელი პრეზიდენტის გუნდის წევრად; ამიტომ ძნელი სათქმელია, მიიღებს თუ არა დავით კირვალიძე მომავალი პრეზიდენტისგან შემოთავაზებას.

ყოველ შემთხვევაში, ალბათ, ყველას ახსოვს ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის მკაცრი განცხადებები სოფლის მეურნეობის მინისტრთან დაკავშირებით, როცა მას პურის გაძვირების შემთხვევაში (მიუხედავად იმისა, რომ გაძვირება მსოფლიო ბაზარზე განვითარებულმა მოვლენებმა გამოიწვია) ციხეში გამოკეტვითაც კი დაემუქრა.

*24 საათი*

# საბითუმო ბაზარი სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების მუშაობით უკმაყოფილოა

მაია ურუშაძე

**"საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა გასული წლის 11 თვის განმავლობაში გენერაციის ობიექტებსა და მომსახურე ორგანიზაციებს 60 მილიონ 400 ათასი ლარი აუნაზღაურა, რაც მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის საფასურის 32 პროცენტს შეადგენს,"** – იუწყება საბითუმო ბაზრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

ბაზრის ინფორმაციით, ელექტროენერგიის ყველაზე დიდი მწარმოებლის – "ენგურჰესის" დაფინანსება 2003 წელს შვიდჯერ გაიზარდა, ხოლო ყველა ძირითადმა ჰიდროელექტროსადგურმა ამ პერიოდში იმაზე ორჯერ მეტი თანხა მიიღო, ვიდრე გასულ წლებში.

რაც შეეხება ელექტროენერგიის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის საწარმოებს, მათ 2003 წლის 11 თვეში საბითუმო ბაზარმა სამჯერ მეტი თანხა გადაურიცხა, ვიდრე მთელი 2002 წლის განმავლობაში.

**"აღნიშნულ პერიოდში ბაზარმა წარმატებას მიაღწია პირდაპირ მომხმარებელთან ურთიერთობაშიც: მათ საბითუმო ბაზრის სატრანსფერო ანგარიშზე 32 მილიონ 400 ათასი ლარი ჩარიცხეს. პირდაპირი მომხმარებლების მიერ შესყიდული ელექტროენერგიის საფასურის ანაზღაურებამ ნაღდი ანგარიშსწორებით 84 პროცენტს მიაღწია,"** – ასეთია ბაზრის ოფიციალური ანგარიში, თუმცა საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელები მიღწევებით კმაყოფილნი არ არიან. **"სამწუხაროდ, კვლავ საკმაოდ დაბალია ელექტროენერგიის გამანაწილებელი ენერგოკომპანიებიდან ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი. 2003 წლის 11 თვის განმავლობაში სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებმა მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის მხოლოდ 29 პროცენტი გადაიხადეს, რის გამოც ბაზარმა მათ ელექტროენერგიის მოხმარების ლიმიტები გადახდების ადეკვატურად დაუწესა,"** – აცხადებენ საბითუმო ბაზარში და წუხან, რომ მიუხედავად ამისა, გამანაწილებელი ენერგოკომპანიები მათთვის დადგენილ ლიმიტებს აჭარბებენ, რაც წყალსაცავებში წყლის დონის შემცირებას და ენერგოკრიზისის გამწვავებას იწვევს.

მიუხედავად პირდაპირ მომხმარებლებთან ურთიერთობის გაუმჯობესებისა და მათგან მიღებული თანხების მაჩვენებლის ზრდისა, სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების წარუმატებელმა ბიზნესმა საბითუმო ბაზრის სატრანსფერო ანგარიშზე თანხების მოძრაობის ბალანსი მაინც გააუარესა. ამის გამო გამანაწილებელი ენერგოკომპანიებისა და პირდაპირი მომხმარებლების მიერ მთლიანობაში გადახდილია შესყიდული ელექტროენერგიის 41 პროცენტი.

**მონაცემები საბითუმო ბაზრის მიერ გენერაციის სხვადასხვა საწარმოებისთვის გადარიცხული თანხების შესახებ**

| ობიექტების დასახელება | 2000წ. | | 2001წ. | | 2002წ. | | 2003წ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მლნ. ლარი | თანხა % | მლნ. ლარი | თანხა % | მლნ. ლარი | თანხა % | მლნ. ლარი | თანხა % |
| ენგური | 0,7 | 7,3 | 1,0 | 2,1 | 1,6 | 5,7 | 11,1 | 27,4 |
| ლაჯანური | 0,6 | 60,6 | 0,5 | 32,2 | 0,4 | 32,0 | 1,5 | 57,3 |
| რიონი | 0,4 | 14,0 | 0,4 | 14,0 | 0,4 | 17,1 | 0,8 | 24,9 |
| ვარციხე | 0,4 | 25,1 | 0,5 | 10,8 | 0,6 | 9,7 | 1,1 | 23,1 |
| [illegible] | 0,3 | 21,1 | 0,8 | 21,0 | 0,4 | 7,6 | 1,1 | 30,3 |
| [illegible] | 1,5 | 2,6 | 1,8 | 3,6 | 2,6 | 5,6 | 7,4 | 17,7 |
| [illegible] | 0,5 | 7,3 | 0,4 | 5,3 | 0,8 | 10,9 | 2,5 | 31,6 |
| სულ | 4,4 | | 5,4 | | 6,8 | | 25,5 | |

# სუფსის ნავსადგურიდან საქართველომ 10 მილიონ დოლარამდე შემოსავლები დაკარგა

სუფსის ნავსადგურის ადმინისტრაცია უკვე რამდენიმე წელია პორტში შესული გემებისგან კანონით განსაზღვრული გადასახადების გადახდას უშედეგოდ ითხოვს.

ნავსადგურის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი ქერქაძის ცნობით, სუფსის ტერმინალის ამოქმედებიდან, 1999 წლიდან, პორტში შესულ არც ერთ ტანკერს საბაჟო გადასახადი და მომსახურების საფასური არ გადაუხდია. ეს მაშინ, როცა სუფსამ უკვე რიგით მე-200-ე გემი მიიღო. ამ ოთხი წლის განმავლობაში ქვეყანამ 10 მილიონ დოლარამდე შემოსავლები დაკარგა.

ამ უკანონობის მხარდაჭერაში ქერქაძე ყოფილ ხელისუფლებას ადანაშაულებს. ტანკერებს სუფსიდან ბაქო-სუფსის ნავთობსადენით გატარებული ნავთობი გააქვთ. ნავთობსადენის ოპერატორთან – კომპანია "ბი-პი"-სთან დადებული ხელშეკრულებით, გადასახადებისგან ნავთობის მხოლოდ ნავთობსადენით ტრანსპორტირება თავისუფლდება და არა ტანკერებით.

სუფსის ადმინისტრაციამ ყოფილი ხელისუფლების წინაშე ტანკერებისგან გადასახადების ამოღების საკითხი არაერთხელ დასვა. იუსტიციის სამინისტრო ნავსადგურის ხელმძღვანელობის მოთხოვნას დაეთანხმა; ამ საკითხთან დაკავშირებით შეიქმნა სამთავრობო კომისიაც, მაგრამ გადასახადებს ტანკერები დღემდე არ იხდიან.

ქერქაძეს ახალი ხელისუფლების იმედი აქვს, მით უმეტეს, რომ იუსტიციის სამინისტროს დადებითი დასკვნა ამ საკითხზე მიხეილ სააკაშვილის მინისტრობის დროს გაკეთდა.

*მედია-ნიუსი*



## "საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორი ელგუჯა სილაგაძე საერთაშორისო სავაჭრო პალატის პირველ ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს



საერთაშორისო სავაჭრო პალატას საქართველოში ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს. გასული წლის 16 დეკემბერს ამ ორგანიზაციის პრეზიდენტად საქართველოს სახლვაო ბანკის თბილისის ფილიალის გენერალური დირექტორი დიმიტრი ჯაფარიძე, ხოლო პირველ ვიცე-პრეზიდენტად "საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორი ელგუჯა სილაგაძე აირჩიეს.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს მსოფლიოში ინვესტიციებისა და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება გლობალური მასშტაბით ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ICC რეკომენდაციებს აძლევს სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებს და მათთვის შეიმუშავებს და ნერგავს საერთაშორისო კომერციული საქმიანობის წესებსა და მიმართულებებს.

"საქართველოში საერთაშორისო სავაჭრო პალატას მისი პროფილიდან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარდამავალ ფაზაში მყოფი საქართველოს ეკონომიკისათვის. პალატის საქმიანობის ფარგლებში უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობით ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა მთელი რიგი პრობლემური საკითხები ერთობლივად გადავჭრათ გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და კონსულტაციების მეშვეობით" ამბობს "საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორი და საქართველოში საერთაშორისო სავაჭრო პალატის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა სილაგაძე.

დღეისათვის პალატის მეშვეობით მეტად ინტენსიური თანამშრომლობა ხორციელდება ფულის გათეთრების წინააღმდეგ ეფექტური საკანონმდებლო და ადმინისტრაციული პრაქტიკის დასანერგად. განსაკუთრებით აქტუალურია ამ მხრივ კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და საფინანსო სექტორის სხვა მონაწილეთა შეხედულებების ანალიზი და მათი პოზიციების ლობირება, ვინაიდან ისინი გამოხატავენ აღნიშნული სექტორის ინტერესებს და მათი აზრის გაუთვალისწინებლობა საეჭვოს ხდის ნებისმიერი სოციალური თუ ეკონომიკური პროექტის წარმატების ალბათობას.

"მეტად დინამიურად მიმდინარეობს საკრედიტო ბიუროს დაარსების შესაძლებლობის საკითხის შესწავლაც. მომავალი წლის დასაწყისში საქართველოში საერთაშორისო სავაჭრო პალატის, საბანკო ასოციაციისა და კომერციული ბანკების მიერ მოეწყობა საკრედიტო ბიუროს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით კონცეპტუალური ხედვის ძირითადი პრინციპების პრეზენტაცია. მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი ეკონომიკური პროექტის დაგეგმვის დროს მაქსიმალურად იქნას შესწავლილი პრობლემის ირგვლივ კერძო სექტორის ყველა დაინტერესებული სუბიექტის მოსაზრებები" ამბობს საქართველოში საერთაშორისო სავაჭრო პალატის პრეზიდენტი დიმიტრი ჯაფარიძე.

საქართველოში საერთაშორისო სავაჭრო პალატა სამომავლო მუშაობაში განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს კომისიების მიხედვით ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებს, როგორიცაა საბანკო და სადაზღვევო, არბიტრაჟი, საგადასახადო, ვაჭრობისა და სატრანსპორტო სფეროები.

უცხოეთი

# ანა ლინდის მკვლელმა დანაშაული აღიარა


ანა ლინდი

შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ანა ლინდის მკვლელობაში ეჭვმიტანილმა 25 წლის მიხაილო მიხაილოვიჩმა დანაშაული აღიარა. მისი ადვოკატის თქმით, ეჭვმიტანილმა აღიარებითი ჩვენება პოლიციას სამშაბათს მისცა.

მიხაილოვიჩი მკვლელობიდან ორ კვირის შემდეგ დააპატიმრეს. შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 10 სექტემბერს სტოკჰოლმის ერთ-ერთ უნივერმაღში უცნობმა მამაკაცმა დანით მუცლის არეში რამდენიმეჯერ დაჭრა. ის საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. მისი მკვლელობა შვედებისათვის შოკის მომგვრელი იყო. მათ დღემდე ახსოვთ 1986 წელს თავიანთი პრემიერ-მინისტრის ულოფ პალმეს მკვლელობა, რომელიც გაუხსნელია.

დაპატიმრებისთანავე მიხაილოვიჩი ანა ლინდის მკვლელობასთან რაიმე კავშირს კატეგორიულად უარყოფდა. გამოძიება ჩიხში შევიდა. მისი საქმე მთლინად შეტრიალდა დეკემბერში, როდესაც გამომძიებლებმა დნმ-ის ანალიზის პასუხები მიიღეს, რაც მკვლელობასთან მიხაილოვიჩის კავშირს ადასტურებდა. იურისტები და დამკვირვებლები დარწმუნებულნი არიან, რომ მიხაილოვიჩს სამუდამო პატიმრობა ელის. მართალია, მან დანაშაული აღიარა, მაგრამ ჯერ არ დაუსახელებია მოტივი. მიხაილ მიხაილოვიჩი იუგოსლავიელი ემიგრანტია, რომელიც შვედეთში ცხოვრებას ვერაფრით შეეგუა. მას ახლობლები და ნაცნობები ფსიქიკურად გაუწონასწორებელ ადამიანად თვლიდნენ.

თავდაპირველად გამომძიებლები შეკვეთილი მკვლელობის ვერსიას ამუშავებდნენ. თუმცა, მიხაილოვიჩის დაპატიმრებამ შეკვეთილი მკვლელობის ვერსია უკანა პლანზე გადაწია. დამკვირვებლები მოუთმენლად ელიან სასამართლო პროცესის დაწყებას, სადაც ალბათ საბოლოოდ გაირკვევა, თუ რატომ მოკლეს ანა ლინდი.

# სადამს კიბო აქვს

ერაყში აშშ-ის ადმინისტრაციის შეფმა პოლ ბრემერმა განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში ამერიკელი სამხედროები ერაყელ ტყვეებს გამოუშვებენ. ჯერჯერობით საუბარია 500 დაპატიმრებულის გათავისუფლებაზე. მათგან პირველი ასი კაცი უკვე დღეს გათავისუფლდებიან. შეწყალებულთა შორის ვერ მოხვდებიან ის ერაყელები, "რომლებსაც ხელები სისხლში აქვთ გასვრილი," - განაცხადა პოლ ბრემერმა. ამასთანავე გათავისუფლებულმა ერაყელებმა ხელწერილის სახით უნდა დადონ პირობა, რომ არ მიმართავენ ძალადობას და მშვიდობიანად იცხოვრებენ.

ამის პარალელურად, საერთაშორისო უფლებადამცველები უკვე ღიად აცხადებენ, რომ კოალიციის ძალები ერაყელ ტყვეებს ძალიან ცუდად ეპყრობიან. მათი თქმით, დროებითი ადმინისტრაცია ერაყელ ტყვეებს პატიმრებით გავსებულ ციხეებში ამყოფებს, სადაც საშინელი ანტისანიტარია სუფევს. ხოლო პატიმართა ნათესავებს მათ შესახებ არავითარი ინფორმაცია არ გააჩნიათ. იმ მონაცემებით, რაც უფლებადამცველებს მოეპოვებათ, კოალიციის ტყვეობაში ცხრა ათასამდე ერაყელი იმყოფება.

ამასობაში კი ქუვეითური გაზეთი "ალ-ანბა" ავრცელებს ინფორმაციას სადამ ჰუსეინის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. გაზეთი ერაყის მმართველ წრეებში თავის წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ ერაყის ყოფილ დიქტატორს ლიმფური ჯირკვლების კიბო აქვს. აქვე ნათქვამია, რომ მას ეს დიაგნოზი ამერიკელმა ექიმებმა დაპატიმრების შემდეგ დაუდგინეს. ამის შედეგად სადამ ჰუსეინს, დაახლოებით, ორი წლის სიცოცხლე აქვს დარჩენილი.

მოკლედ

## გასულ წელს 42 ჟურნალისტი მოკლეს

ორგანიზაციის "რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" მონაცემებით, გასულ წელს მთელ მსოფლიოში 42 ჟურნალისტი მოკლეს. შედარებისათვის, 2002 წელს მსხვერპლის რიცხვი სულ 25-ს შეადგენდა. იოლი მისახვედრია, რომ განსხვავება პირველ რიგში ერაყის ომით აიხსნება, რომელმაც 14 ჟურნალისტის სიცოცხლე შეიწირა.

ორგანიზაციის განცხადებით აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ომების გაშუქება ჟურნალისტებისათვის სულ უფრო სახიფათო ხდება.

გასულ წელს 766 ჟურნალისტი დააპატიმრეს, 1460-ს დაემუქრნენ ან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, ცენზურის მსხვერპლი გახდა 501 გამოცემა.

"პრესის თავისუფლების შელახვის მცდელობათა განუხრელი ზრდა პირდაპირ კავშირშია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან, და იმ ანტიტერორისტულ კანონმდებლობასთან, რომელიც 11 სექტემბრის შემდეგ ბევრ ქვეყანაში მიიღეს."

## რუსეთის პრეზიდენტის არჩევნებში ათი კანდიდატი იყრის კენჭს

რუსეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ალექსანდრ ვეშნიაკოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ათმა კაცმა წამოაყენა თავისი კანდიდატურა.

ოთხი მათგანი პარტიების მიერაა წამოყენებული. კომუნისტებმა დეპუტატ ნიკოლაი ხარიტონოვის კანდიდატურა წამოაყენეს, ჟირინოვსკის ლიბერალ-დემოკრატებმა – ამავე პარტიის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ოლეგ მალიშკინის, სიცოცხლის პარტიამ – თავისივე ლიდერისა და ფედერაციის საბჭოს სპიკერის სერგეი მირონოვის, ხოლო "რუსეთის რეგიონებმა" კი – ცენტრალური ბანკის ყოფილი პრეზიდენტის გერაშჩენკოსი.

საინიციატივო ჯგუფებმა ექვსი კანდიდატურა წამოაყენეს: ახლანდელი პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი, ფრაქცია "სამშობლოს" ლიდერი სერგეი გლაზიევი, მემარჯვენე ძალთა გაერთიანების ვიცე-სპიკერი ირინა ხაკამადა, დუმის ყოფილი სპიკერი ივან რიბკინი, ბიზნესმენი და დეპუტატი ვლადიმირ ბრინცალოვი და ბიზნესმენი ანზორ აქსენტიევ-კიკალიშვილი.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის შემთხვევაში "წამოყენება" არ ნიშნავს "მხარდაჭერას". ასე მაგალითად, მართალია, "სამშობლოს" პრეზიდენტის პოსტზე ორი კანდიდატი – გლაზიევი და გერაშჩენკო ჰყავს, მაგრამ, პარტიის ლიდერები არ მალავენ, რომ მხარს პუტინს დაუჭერენ. იგივე შეიძლება ითქვას მირონოვის შემთხვევაშიც, კანდიდატი თავად აცხადებს, რომ პუტინს გულშემატკივრობს. ასევე იქცევა ზოგიერთი სხვა კანდიდატიც.

წინა საპრეზიდენტო არჩევნებისაგან განსხვავებით, ამჯერად მათში მონაწილეობას არ იღებენ გავლენიანი პარტიების ლიდერები: ზიუგანოვი, ჟირინოვსკი და იავლინსკი. რაც იმის მაჩვენებელია, რომ მათ არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე აღიარეს დამარცხება. რაც შეეხება პუტინს, მას გამარჯვება, თანაც დიდი უმრავლესობით, გარანტირებული აქვს, თუმცა სააკაშვილის რეკორდს, ალბათ, ვერ მოხსნის.

## თურქეთი და სირია შერიგდნენ

გრძელდება სირიის პრეზიდენტის ისტორიული ვიზიტი თურქეთში. ისტორიული კი ეს ვიზიტი იმითაა, რომ ორი ქვეყნის ლიდერი პირველად ხვდება ერთმანეთს.

ორ ქვეყანას შორის მუდმივად დაძაბული ურთიერთობა იყო. ხუთი წლის წინ, იმის გამო, რომ დამასკო ოჯალანს იფარებდა, თურქეთმა მას კინაღამ ომი გამოუცხადა. ახლა კი ვითარება იცვლება.

"ჩვენ უნდობლობის ატმოსფეროდან ნდობის ატმოსფეროში გადავედით," – განაცხადა სირიის პრეზიდენტმა ასადმა. "უნდობლობის, მტრობისა და არასტაბილურობის აღმოფხვრა სასწრაფოდ უნდა მოხდეს," – კვერი დაუკრა თურქეთის პრეზიდენტმა სეზერმა.

ორივე პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა ერაყის ტერიტორიული მთლიანობისა და ამ ქვეყნიდან საოკუპაციო ჯარების სასწრაფოდ გაყვანის აუცილებლობას. თურქეთსა და სირიას დიდი ქურთული უმრავლესობა ჰყავთ და ერაყის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნის პერსპექტივით ძალზე შეშფოთებულები არიან.

მათი მოულოდნელი დამეგობრებაც, როგორც ჩანს, სწორედ ამით აიხსნება.

# 104 წლის ნინა ხომასურიძის იმედი და შეგონება



ნინა ხომასურიძეს 18 იანვარს 104 წელი შეუსრულდება.

პირველი გვერდიდან

**"ჩემთვის გაჭირვება უცხო არ არის, რადგან ჩემი შვილები ობლად დავზარდე. 20 წლისას მეუღლე დამეღუპა,"** - ამბობს ნინა ბაბო.

ხომასურიძეების ოჯახი თავის დროზე სოფელ ჭერემში ცხოვრობდა. ბოლშევიკების დროს კი, როგორც სხვა მაღალმთიანი დასახლების მოსახლეობა, ისინიც ბარში ჩამოასახლეს.

**"რას გვერჩოდნენ, მამაპაპეული სახლ-კარი მოგვიშალეს. ასე გვითხრეს, ქალაქში ხალხი გვჭირდებაო და სოფელი უნდა დატოვოთო. ჭერემში ჯერ მარტო შვიდი ძირი კაკალი გვედგა და თავს იმით ვირჩენდით, ახლა კი ამ სოფლის ჰაერიც მენატრება,"** - ასეთი დანანებით იხსენებს მხცოვანი ქალბატონი ძველ დროს. ათას ჭირვარამგამოვლილი ნინა ხომასურიძე იმედს მაინც არ კარგავს და მის მიერ არჩეულ პრეზიდენტს ასე ლოცავს: **"ხალხისთვის არც ერთი მთავრობა არ იყო. რა ვიცი, ამ ბიჭზე სულ კარგს მელაპარაკებიან. ღმერთმა დალოცოს ეგ და მაგისი ოჯახიც."** ნინა ბებომ იქვე ახალგაზრდებს მისცა შენიშვნა: **"ახალგაზრდა პრეზიდენტი გვყავს და ვთხოვ სულყველა ახალგაზრდას, რომ მოკრძალება ისწავლონ. ქა, ქუჩაში ისე ეხვევიან ერთმანეთს, რომ არც კი რცხვენიათ. 16 წლისა გავთხოვდი. მუხლები ჩამააწყდა მაჭანკალსა, სანამ მამაჩემი თანხმობას ეტყოდა. ხმას ვერ ვიღებდი. ანდა, მე ვინ რას მათქმევინებდა?! ახლა კიდე მშობლებს არც ეკითხებიან, ისე თხოვდებიან ქალები. ჰაი გიდი, რა დრო იყო. ყველაფერს თავისი ლაზათი ჰქონდა, ახალ წელსაც და შობასაც. ვიფიქრე, შობისთვის ბავშვები ჩამოივლიან და ჩურჩხელებს მივცემ-მეთქი, მაგრამ არავინაც არ დაიძახა. ეს ხალხიც, ჩვენი მთავრობასავით, გადაირია. ჩემ დროს სოფლის თავიდან რომ დავიწყებდით ალილუიას სიმღერას, სოფლის ბოლომდე გავდიოდით. ხალხს ხან გოჭი გამოჰყავდა, ხანაც ინდაურები. აბა, მეტი რაღა უნდა გითხრათ, ისღა შემიძლია, რომ ბედნიერება გისურვოთ. მე თუ ვეღარ მოვესწრები ლამაზ საქართველოში ცხოვრებას, იქნებ თქვენ, ახალგაზრდებს მაინც გაგიმართლოთ."** დამშვიდობებისას კი, ნინა ბებომ პრეზიდენტთან დაგვავალა, იქნებ გაყინული პენსია გამომიგზავნოსო.

ნინა ხომასურიძე ხვალიდან ლუკმა-პურის საშოვნელად ისევ ბაზარში დადგება და კლიენტის მოლოდინში იქნება. 18 იანვარს კი მას 104 წელი შეუსრულდება.

# ალილოობა - ხელის გაწვდენა გაჭირვებულთათვის

დავით ასანიძე

...წინ მსუბუქი ავტომანქანა მიდის. მასზე დამაგრებული უზარმაზარი ხმის გამაძლიერებლიდან მთელ ქუჩას ეფინება საეკლესიო სიმღერები და საგალობლები. მანქანას უკან ორი წყვილი ხარ-კამეჩი მისდევს. ისინი ზანტად მიათრევენ ურმებს, რომლებზეც შესაწირისთვის განკუთვნილი დიდი კალათებია მოთავსებული. ურემზე პატარა ბავშვებიც წამოსკუპებულან. "მუსიკალურ" მანქანასა და ხარ-კამეჩს კვალში უდგანან სასულიერო პირები. ზოგიერთი მათგანი ღვთისმშობლის ხატს მოასვენებს, ზოგი კი ნაკურთხი წყლით ლოცავს გამვლელ-გამომვლელს. მსვლელობის მონაწილეებს დროშების "ფარდა" ფარავს. სტიქაროსანი ბავშვები ხალხს სთხოვენ, მიუსაფართათვის მოწყალება გაიღონ...

ალილოობის პროცესია დიდუბის ეკლესიიდან 12 საათზე დაიძრა და წერეთლის გამზირი თითქმის ბოლომდე გაიარა.

"ქრისტეშობას გილოცავთ! მრავალს დაესწარით!" - მიმართავენ გოგო-ბიჭები ქუჩაში გამოფენილ ხალხს და მისალოც ბარათებს ურიგებდნენ.

"გილოცავთ ქრისტეს შობის დიდ და მაცხოვნებელ დღესასწაულს. გისურვებთ, იყოთ სიხარულის მიმნიჭებელნი ერთმანეთისთვის და ცათა შინაც მარადიული სიხარული მოგეპოვებინოთ. ღმერთს ებარებოდეთ. სიყვარულით თქვენთვის მლოცველი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II", - აწერია მისალოც ბარათებზე.

"პასუხად" შესაწირავი მოდის... პური, ნამცხვარი, ბანანები, ტკბილეული, წვენები, ჩურჩხელები, მანდარინი, ცელოფნის პარკებში ჩაწყობილი სანოვაგე... მაღალსართულიანი სახლების ფანჯრებიდან კანფეტები ცვივა... ურმებზე შემოწყობილი კალათები სწრაფად ივსება. ვინც ალილოობისთვის "მოუმზადებელი" აღმოჩნდა, ჯიბეს გაიკრა ხელი: სიგარეტის გამყიდველები ხურდა ფულით იღებენ მოწყალებას, ძვირად ღირებული უცხოური ავტომობილების მგზავრები - ბანკნოტებით.

წერეთლის გამზირიდან მსვლელობა ნაძალადევში ინაცვლებს და ცოტნე დადიანის გამზირზე გრძელდება. აქაც იგივე სურათია: გაღიმებული სახეები, ალალი გულით გაღებული ძღვენი...

ალილოობა ერთგვარი ქველმოქმედებაა, რომლისთვისაც უცხოა ხელოვნურობა, სიყალბე. მან კიდევ ერთხელ წარმოაჩინა, რომ ხალხი მართლაც მოწყალე და გულუხვია. ადამიანებს გუშინ გულწრფელად უხაროდათ, რომ ზეიმში მონაწილეობით შეჭირვებულებს რაღაცით ეხმარებოდნენ...

"ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო," - ამ სიტყვებით შეაბიჯეს ალილოობის მონაწილეებმა ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ეზოში. შეგროვილი შენაწირი მათ ღვთის მსახურებს ჩააბარეს, რომლებიც საჩუქრებს ობოლ და მიუსაფარ ბავშვებს დაურიგებენ.

# ქრისტეშობის ქუჩა-ქუჩა ქადაგება

პირველი გვერდიდან

**- კამეჩები თქვენია?**

- ჰო, ჩვენია. მე ვარ შაქარაშვილი მიშა. სოფელ მეტეხიდან ჩამოვედით ალილოობაზე და მთელ საქართველოს ვულოცავთ ამ დღესასწაულს. გახარებული იყოს სუყველა.

**- რა ჰქვიათ კამეჩებს?**

- მინდორა და ლომა.

**- რაღაც ძაან ჭკვიანად იქცევიან.**

- აბა, რა, კაცო. პირველად კი არ არიან ალილოობაზე. უკვე მესამედ ჩასმოვიყვანეთ. აგე, რამდენი საჩუქრები მოაქვთ. მერე უპატრონო მოხუცებსა და ბავშვებს უნდა დაურიგონ.

**- თქვენ სოფელში თუ იმართება ალილო.**

- მაშ, კაცო, როგორც წესი და რიგია. იკრიბება ხალხი, ქეიფობენ, კაი პურსა ჭამენ.

**- ეკლესია არის სოფელში?**

- კი, წმინდა მარიამის სახელობისაა. ეკლესიაში სუყველა დადის. ღამე წირვა-ლოცვა იყო, დღეს კიდე ქეიფია.

სიონიდან დაძრულ მრევლს ორი მღვდელმთავარი მიუძღოდა – მიტროპოლიტი დანიელი და მეუფე ნიკოლოზი.

მიტროპოლიტი დანიელი: **"ალილოს ტრადიცია საქართველოს ეკლესიამ რამდენიმე წლის წინათ აღადგინა. შობის დღეს წირვის შემდეგ მრევლი გადიოდა ქუჩაში და მსვლელობითა და გალობით ქრისტეშობას ყველას ახარებდა. ქრისტეშობის მახარობელთა შეგებება სიმბოლურად არის უფლის შეგებება. ეს არის ალილოს მთავარი არსი".**

კოლონას გზადაგზა უერთდებოდა სხვა ტაძრების მრევლი და მომლოცველი ხალხი, რომელთა შორის პოლიტიკოსებიც იყვნენ.

გიგი წერეთელი: **"პირველად ალილო ბავშვობაში ვნახე. დიდი ბებია მყავდა ოზურგეთიდან და ხშირად ჩავდიოდით, ხოლმე. ერთხელ შობის დროსაც ჩავედით და მაშინ პატარა ჯგუფთან ერთად მივიღე ალილოში მონაწილეობა. მერე ამის საშუალება აღარ მქონია, თბილისში ალილო არ ყოფილა".**

კობა ამირხანაშვილი: **"ჩემ ბავშვობაში ალილო სად იყო, ვინ გაგატარებდა? მაშინ "კომსომოლობას" მისდევდნენ. ეს ბოლო წლების მონაპოვარია და მე მიხარია, რომ ამას საფუძველი ჩაეყარა საქართველოს პარლამენტში ჟვანიას დროს და ჩვენც ვიღებთ მონაწილეობას ამ სასიხარულო რიტუალში. ბავშვებზე მეტად, მე მგონი, ჩვენ, ბებრებს უფრო გვიხარია. ასევე ძალიან მიხარია, რომ ჩემი მეუღლე ღრმად მორწმუნეა და ჩემი ბავშვებიც მუდმივად მონაწილეობენ საეკლესიო რიტუალებში. ეს არის ჩვენი შემობრუნება სულიერებისკენ".**

მახარობლები სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოშიც შევიდნენ, სადაც მათ თსუ-ს ხელმძღვანელობა და ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი შეეგება. სტუმრების გაცილების შემდეგ თსუ-ს რექტორმა როინ მეტრეველმა თავისი პირველი ალილოს შესახებ გვიამბო.

როინ მეტრეველი: **" 10-11 წლის ვიყავი, როცა პირველად მივიღე მონაწილეობა ალილოში. სამნი ვიყავით. დავდიოდით ქუჩა-ქუჩა სახლებში და ვმღეროდით, ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო. ისე შემაგვიანდა, სახლში მისაყვედურეს კიდეც, მაგრამ ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ძალიან ამაღელვებელი მომენტი. მას შემდეგ სულ დიდი სიხარულით ვხვდები ალილოს ".**

მეორე მოკლე შეჩერება თოჯინების თეატრთან მოხდა, სადაც მეალილოე ბავშვებს პატარა კონცერტი გაუმართეს თეატრის მსახიობებმა.

მახარობლები წმინდა სამების ტაძარში საღამოხანს მივიდნენ. იქ თავის სამწყსოს დახვდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

**"ჩემო სულიერო შვილებო, თქვენ და სრულიად საქართველოს დიდი სიხარულით გილოცავთ ქრისტეშობის დიდებულ დღესასწაულს.**

**ეს არის დღესასწაული სიყვარულისა, რწმენისა, სასოებისა. ეს არის ის დღესასწაული, რომელიც გვაძლევს მომავლის იმედს. როცა იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბეთლემს, გაისმა ანგელოზთა გალობა – "დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება". მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება აუცილებელია, მაგრამ ეს რომ სუფევდეს, საჭიროა დიდება ღმრთისა. ჩვენ უნდა ვადიდოთ ღმერთი. ამისათვის ადამიანს უპირველეს ყოვლისა უნდა უყვარდეს ღმერთი და მოყვასი.**

**ჩვენ შევთხოვთ უფალს, რომ გაახაროს, გააძლიეროს, გაამთლიანოს სრულიად საქართველო და იმედი გვაქვს, რომ მომავალ წელს შობის სადღესასწაულო წირვა-ლოცვას წმინდა სამების ამ დიდებულ ტაძარში ჩავატარებთ. მშვიდობა, ღმერთისადმი რწმენა და სიყვარული სუფევდეს სრულიად საქართველოში. ჩვენთან არს ღმერთი!"** – ასე დალოცა სამწყსო უწმინდესმა, რომელმაც დასასრულ საშობაო პარაკლისი გადაიხადა.













რევიუ

# "არავის არაფერს არ ვუმტკიცებ"

რეჟისორი სოფია კოპოლა

მელანქოლიური დრამით, "თარგმანში დაკარგულია", სოფია კოპოლამ წლის სარეჟისორო აღმოჩენის წოდება დაიმსახურა. მართალია, მანამდე დიდოსტატ ფრენსის ფორდ კოპოლას ქალიშვილს საკუთარი თავის აღმოსაჩენად დიდი გზის გავლა მოუწია.

"მე არ ვიცი, ვინ უნდა ვიყო" – ასეთი ეგზისტენციალური პრობლემა აწუხებს "თარგმანში დაკარგულიას" მთავარ გმირს. ნორჩი შარლოტი (სკარლეტ იოჰანსონი) მეუღლეს მივლინებაში, ტოკიოში მიჰყვება. მდიდრულ სასტუმროში მარტოდ დარჩენილ ქალს საკუთარ თავთან დაკავშირებული ეჭვები მოსვენებას არ აძლევს.

"მე არ ვიცი, ვინ უნდა ვიყო" – ეს წინადადება თამამად შეიძლება ფილმის ავტორსა და რეჟისორს, სოფია კოპოლასაც წარმოეთქვა. მართალია, ამჟამად ის მას აღარ შეეფერება, რადგან 32 წლის სოფიას როლი უკვე სავსებით გამოიკვეთა: "თარგმანში დაკარგულიას" დიდი წარმატების შემდეგ ის, საპატიო ასაკის მიუხედავად, კინოსამყაროში ახალ ვუნდერკინდად ითვლება. მრავალი "ოქროს გლობუსის" ნომინაცია და მისი სარეჟისორო ხელოვნებით კრიტიკოსების აღფრთოვანება იმედს იძლევა, რომ სოფიას თებერვლისთვის დაგეგმილ "ოსკარის" გადაცემის ცერემონიაზეც წარმატება ელის. ნებისმიერ შემთხვევაში, კოპოლას საუკეთესო ორიგინალური სცენარისთვის ნომინანტობა გარანტირებული აქვს.

მართალია, ასეთ წარმატებამდე სოფია კოპოლას სულ სხვაგვარი ცხოვრება ჰქონდა. "მე უჩვეულო, მოულოდნელი ამბების მოყვარული ვარ," ამბობს რეჟისორი, და ასეთი განმარტება მის ბიოგრაფიას სავსებით მიესადაგება.

თავდაპირველად სხვა ადამიანებმა უკეთ იცოდნენ, ვინ იქნებოდა სოფია კოპოლა. მამამისმა, ფრენსის ფორდ კოპოლამ, მას ბავშვობაშივე მიუჩინა ადგილი



სოფია კოპოლა ბილ მიურეისთან ერთად

კინოს ისტორიაში: ლეგენდარული "ნათლიმამას" პირველ ნაწილში ის მაიკლ კორლეონეს ძმისწულს (!) თამაშობდა.

ის შემდგომაც ასრულებდა პატარა-პატარა როლებს, მათ შორის მაფიის უკვდავ საგაშიც. პირველი დიდი როლი ნამდვილად მოულოდნელობა იყო – და დიდი მარცხიც: მესამე "ნათლიმამას" გადაღებების დროს მთავარი როლის შესრულებელი ქალი, მსახიობი ვაინონა რაიდერი ავად გახდა, და მამა ფრენსისმა მის ადგილას თავისი ქალიშვილი "შეტენა". ეს დიდი შეცდომა იყო: მაიკლ კორლეონეს ქალიშვილის როლში სოფია მეტისმეტად უსუსურად გამოიყურებოდა, და კრიტიკოსებმა ის მიწასთან გაასწორეს.

საერთოდ, მამის მცდელობები, მისგან კინოვარსკვლავი "გაეკეთებინა", სოფიაში უკმაყოფილების გარდა არაფერს იწვევდა: "არ მიყვარს, როცა მიმითითებენ ხოლმე, რა უნდა გავაკეთო". მართალია, სოფიამ თავადაც არ იცოდა, რა უნდა ეკეთებინა: ხან ხელოვნების უმაღლეს სკოლაში სწავლობადა, ხან ლოს ანჯელესში ღამის კლუბი გახსნა და ხან მოდების სალონი დააარსა. ამბობენ, რომ ის საუბარშიც ასევე ხტება ხოლმე ერთიდან მეორე თემაზე, ხან მიძინებულივითაა და ხანაც ფეთქებადი და იმპულსური.

რაც შეეხება "თარგმანში დაკარგულიას": სოფია ამბობს, რომ ამ შემთხვევაში მან ზუსტად იცოდა, რა უნდოდა, და ამას მაყურებელიც გრძნობს (განსხვავებით მისი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმისგან "ქალწულის თვითმკვლელობა", რომელიც მან 2000 წელს გადაიღო).

"თარგმანში დაკარგულია" გარკვეულწილად ავტობიოგრაფიული ფილმია. მასში რეალურსა და ფიქტიურ პერსონაჟებს შორის ერთგვარი პარალელია გავლებული. ახალგაზრდა შარლოტას მეუღლე, სარეკლამო ფოტოგრაფი, ძალიან ჩამოჰგავს სოფია კოპოლას ყოფილ ქმარს, რეჟისორ სპაიკ ჯონსს, რომელსაც სარეკლამო გადაღებების დროს ცოლი იაპონაში ხშირად დაჰყვებოდა ხოლმე. ისიც აღსანიშნავია, რომ "ჯონ მალკოვიჩად ყოფნის" გადაღებების დროს ჯონსმა კამერონ დიასი სასურველზე უფრო ახლოს გაიცნო – ჰოლივუდის ჭორებში ჩახედულებს ფილმის ყურებისას ეს ამბავიც გაახსენდებათ, ისევე, როგორც გმირი ქალის პლატონური რომანი მოაგონებთ თავად სოფიასა და მამამისის ურთიერთობას.

"მე არ მინდა ისეთი ამბების მოყოლა, რომლებიც ერთ ცხოვრებაზე მეტს მოიცავს," თქვა სოფიამ – როგორც ჩანს, მამამისის "ნათლიმამასა" თუ "აპოკალიფსისი დღეს" გულისხმობდა. "და საერთოდ, არაფრის მტკიცებას არ ვაპირებ, რადგან არაფერი მაქვს დასამტკიცებელი".

# ყველაზე მდიდარი ლამაზმანები



კაროლინა კურკოვა

რამდენიმე წლის წინ ლინდა ევანჯელისტამ თქვა, საწოლიდან ფეხსაც არ გადმოვადგამ, თუ იმ დღეს 10 ათას დოლარს მაინც არ ვიშოვიო. მას შემდეგ სუპერმოდელებს მოთხოვნები და ამბიციები სულაც არ შემცირებიათ. მათი წლიური შემოსავლები კი თანდათან იზრდება.

გასულ წელს მოდელთა სამყაროს ყველაზე მომგებიანი ქალი 19 წლის ჩეხი კაროლინა კურკოვა გახდა. მან 3.8 მილიონი გირვანქა სტერლინგი მოაგროვა, ბრაზილიელ ჟიზელს "ვიქთორიაზ სიქრეთსის" კონტრაქტიც წაართვა და ტომი ჰილფიგერისთვისაც იმოდელა. როგორც "სანდი ტელეგრაფი" იუწყება, კაროლინა თავისი ჰონორარების მნიშვნელოვან ნაწილს ხარჯავს ხიზილალას შეძენაზე, რომლითაც შემდეგ შიჰ ცუს ჯიშის საყვარელ ძაღლს, "ზელას" კვებავს.

მეორე ადგილზე გერმანელი ჰაიდი კლუმი გავიდა – 3.7 მილიონი გირვანქა სტერლინგით. 30 წლის მოდელმა, რომელსაც "ელიტ მოდელსის" ყოფილი ხელმძღვანელი "ძეხვს" ეძახის, წელი "ვიქთორიაზ სიქრეთსთან", "პრინგლთან" და H&M-თან კონტრაქტების გაფორმებით დაიწყო და კიდევ უფრო სასიამოვნო ამბით დაასრულა – ის ფორმულა-1-ის შეფის ფლავიო ბრიატორესგან ბავშვს ელოდება.

შემდეგ მოდის რუსი ნატალია ვოდიანოვა, რომელიც მოდელის კარიერის დაწყებამდე ქუჩაში ყვავილების გაყიდვით ირჩენდა თავს. შემდეგ კი მან "გუჩი" და "ჩერუტიც" მოხიბლა და 2003 წელს 3.6 მილიონი დააგროვა.

მეოთხე ადგილი ბრიტანეთის ულამაზეს ქალბატონს კეიტ მოსს ერგო, მეხუთე კი – კეროლინ მერფის, რომელმაც ახლახან გააფორმა 3 მილიონ დოლარიანი კონტრაქტი "ესტე ლაუდერთან" და კვლავაც თანამშრომლობს "ლანკომთან", ჩეზარე პაჩოტისთან და ჰარი უინსტონთან. უმდიდრეს მოდელთა რიგებში მეექვსე ადგილზე დგას კარმენ კასი, რომელიც საკუთარ თავს "ესტონეთის ყველაზე მდიდარ გოგონას" უწოდებს და არ იცის, 2003 წელს მოპოვებული 3.1 მილიონი გირვანქა სტერლინგი სად და როგორ დახარჯოს. შემდეგ კი 23 წლის ამერიკელი ანჯელა ლინდვოლი მოდის – 3 მილიონით და დონა კარანის, პრადას და ლუი ვიტონის კონტრაქტებით.

რაც შეეხება მაინც ყველასთვის საყვარელ ჟიზელს, სიახლეები მასაც აქვს. 2004 წელს გამოდის ლუკ ბესონის მორიგი "ტაქსი", რომელშიც ჟიზელი ბანკის მძარცველის ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს. და თუ ბესონი ხელგაშლილად გამოაჩენს ჟიზელის უნაკლო ტანს, მაშინ შეიძლება კინოკრიტიკოსებსაც მოულბეთ გული და მის სამსახიობო ნიჭზე ცხარე მსჯელობა არ გამართონ.

სპორტი

## კარლო ანჩელოტი:

# "თქვენ საუკეთესო "მილანი" იხილეთ"

სერია A ლიდერის დამარცხებით განახლდა

ნინო პირველი

"თუ ვინმე ფიქრობს, რომ რომში თავისუფლად და ზედმეტი დაძაბვის გარეშე გავიმარჯვებთ, ძალიან ცდება. ეს უტოპიაა. რომაელთა დამარცხება ჩვენ დიდ ძალისხმევად დაგვიჯდება, მაგრამ ამას აუცილებლად შევძლებთ", ამბობდა კარლო ანჩელოტი მატჩის დაწყების წინ. "ფრე არც ჩვენ გვჭირდება რამეში და არც "მილანს". ეს შეხვედრა დაუნდობელი ბრძოლა იქნება გამარჯვებისთვის", ეს კი ფაბიო კაპელომ განაცხადა. საბოლოო ჯამში, ორივეს წინათგრძნობა ახდა. მატჩი მართლაც დაძაბული და რთული იყო, მილანელებს გაუჭირდათ, მაგრამ დანაპირების ასრულება მაინც შეძლეს და რომის ოლიმპიური სტადიონი თავაწეულებმა დატოვეს. "რომას" ჯალათად კი უკრაინელი ანდრეი შევჩენკო იქცა, რომელმაც მასპინძლებს ორი გოლი გაუტანა. შევჩენკოს კარგად აქვს დაცდილი რომის ოლიმპიურ სტადიონზე თამაში. 1999-2000 წლების სეზონში, როცა უკრაინელი ახალი გადასული იყო ბერლუსკონის კლუბში, "მილანი" რომში შეხვდა "ლაციოს" და "შევამ" იმ მატჩში რომაელებს სამი გოლი გაუტანა... ტრადიცია არც 2004 წლის პირველ შეხვედრაში დაირღვა. მატჩის მეთვრამეტე წუთზე შევჩენკომ ჩვეულ სტილში წაიჯადოქრა - ზეედორფისგან მიღებული ბურთი მკერდით გაისწორა და ისე ვერაგულად დაურტყა რომაელთა მეკარე ივან პელიცოლის, რომ ამ უკანასკნელს ისღა დარჩენოდა, ბურთი კარის ბადედან გამოეტანა. კაცმა რომ თქვას, შევჩენკოს ახალი და განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია, მან უბრალოდ ზუსტად გაიმეორა თავის მიერვე "ამსტერდამ არენაზე" შესრულებული ფანდი, რის შემდეგაც "აიაქსი" ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩა. პელიცოლიმ, ალბათ არ უყურა ამ მატჩს და ამიტომაც ვერ მიხვდა, რა სახიფათო შეიძლება ყოფილიყო მისი გუნდისთვის შევჩენკოს მკერდზე გაშვებული ბურთი, რომელიც წამის უსწრაფესად "რომას" კარში აღმოჩნდა. ეს უკრაინელი ფორვარდის მეცამეტე გოლი გახლდათ ამ სეზონში. მოგეხსენებათ, ცამეტი თარსი რიცხვია და თითქმის ყოველთვის წარუმატებლობა მოაქვს. ასე მოხდა ამ შეხვედრაშიც. პირველი ტაიმის 45 წუთი უკვე ამოწურული იყო. მატჩის არბიტრმა პაპარესტამ სამი წუთი დაამატა. "მილანის" დაცვას თავი უკვე გასახდელისკენ მიმავალ გზაზე ეგონა და მეტად ინერტულად გამოიყურებოდა. მთელი პირველი ტაიმი არაფერი გამოუვიდათ და ახლა ამ სამ წუთში რაღას მოახერხებენო - ფიქრობდა ალბათ გადაღლილი პაოლო მალდინი და ამ წუთიერი მოდუნებისთვის დაისაჯა კიდეც. სულ რაღაც ერთი წუთი რჩებოდა დამატებითი დროის ამოწურვამდე, როცა მანჩინიმ, კასანომ და ტოტიმ "მილანის" დაცვას თავგზა აუბნიეს და ერთ ბოთლ მინერალურ წყალზე მეოცნებე დიდას პირველი გოლი გაუტანეს. მალდინიმ ნაღვლიანად გააყოლა თვალი "მილანის" კარში შეგორებულ ბურთს და შესვენებაზე მოწყენილი წავიდა.



კარლო ანჩელოტიმ სასურველი "მილანი" იხილა

"რომამ" პირველი ტაიმი არ წააგო, მაგრამ ფაბიო კაპელოს ეს ფრე ნამდვილად არ უხაროდა. კარლო ანჩელოტიც დაღვრემილი ჩანდა. კაცმა რომ თქვას, მოსაწყენად საქმე მილანელებს უფრო ჰქონდათ, ვიდრე რომაელებს: რაც არ უნდა იყოს, "რომა" ექვსი ქულით უსწრებდა უახლოეს მდევრებს - "მილანს" და "იუვენტუსს" და მატჩის ფრედ დასრულება სულაც არ იქნებოდა მათთვის დიდი ტრაგედია, მაგრამ მადაგახსნილ ფაბიო კაპელოს საკუთარ მოედანზე მხოლოდ გამარჯვება სურდა და ამიტომაც მეორე ტაიმის დაწყებისთანავე "რომა" ისევ შეტევაზე გადავიდა. კაპელომ სათანადო ცვილებებიც განახორციელა: ლიმას ნაცვლად კანდელა შეუშვა მოედანზე, კარეუ კი დელვეკიოთი შეცვალა, მაგრამ ვერც ფრანგმა მცველმა და ვერც იტალიელმა თავდამსხმელმა ვერაფრით შეძლეს ამბიციური ხელმძღვანლის გახარება. შესვენება მილანელებმა უფრო უკეთესად გამოიყენეს და მეორე ტაიმში გაათმაგებული ენერგიით დაუბრუნდნენ "სტადიო ოლიმპიკოს". "რომას" ნახევარდაცვა ემერსონის მეთაურობით საერთოდ თამაშგარე მდგომარეობაში დარჩა, სამაგიეროდ რუი კოშტა გააქტიურდა და ერთი საგოლე მომენტიც შექმნა. ანდრეი შევჩენკო მეცამეტე გოლით ხომ ვერ დაასრულებდა ამ შეხვედრას, ბოლო-ბოლო ცამეტი თარსი რიცხვია. ჰოდა, ისარგებლა რუი კოშტას კარგი პასით და რომაელებს კიდევ ერთხელ შეაგინებინა დედმამა და ახლო ნათესაობა. "რომას" ტიფოზები გადაირივნენ, ფაბიო კაპელო ფეხზე წამოხტა და ლამის მოედანზე შეუვარდა თავის ყურებჩამოყრილ ფეხბურთელებს. თუმცა ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ იყო - მატჩის დასრულებამდე ხომ მთელი 20 წუთი რჩებოდა. დრო კი საკმაო იყო, მაგრამ მილანელები სულაც არ აპირებდნენ წვალებით მოპოვებული უპირატესობის დათმობას. თუმცა ერთხელ კასანომ კინაღამ გული გაუხეთქა ანჩელოტის, როცა თავით დააპირა დიდას კარის აღება, მაგრამ მილანელთა საბედნიეროდ, დარტყმა არაზუსტი გამოდგა. "რომამ" წააგო, "ლაციოც" დამარცხდა "რეჯინასთან", სამაგიეროდ რომაელთა მეტოქეებმა იზეიმეს გამარჯვება - "იუვემაც" მოიგო და "ინტერმაც". ახლა "რომას" გაჩემპიონებას უკვე სერიოზული საფრთხე ემუქრება, "მილანს" ხომ ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩასატარებელი. როგორ ფიქრობთ, "სიენას" ვერ მოუგებენ მილანელები? კარლო ანჩელოტის სჯერა, რომ ამ გადატანილ მატჩში აუცილებლად მოიპოვებენ წარმატებას:" ძალიან კმაყოფილი ვარ, გუნდმა შესანიშნავი თამაში აჩვენა, იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა. თქვენ დღეს საუკეთესო "მილანი" იხილეთ. "სიენასაც" მოვუგებთ და უკვე "სკუდეტოც" ძალიან ახლოს იქნება," - ასე ოპტიმისტურად შეჰყურებს მომავალს ფუნჩულა "კარლიტო".

**ფეხბურთი.** ინტერნეტ-გამოცემის, Tribalfootball-ის ცნობით, პრემიერ ლიგის ბინადარი "ფულემი" იაპონურ კლუბ "გამბა ოსაკასთან" ნახევრამცველ იუნიჩი ინამოტოს შესყიდვასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებს. ინამოტო კი, თავის მხრივ, ამჟამად "კოტეჯერსის" რიგებში იჯარის უფლებით თამაშობს. "ფულემის" დამრიგებელს კრის კოულმენს კი იაპონელი ნახევარმცველის ტრანსფერის გამოსყიდვა სურს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "იუვენტუსის" გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ დაადასტურა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ლონდონის "ჩელსი" თავდამსხმელ დევიდ ტრეზეგეთია დაინტერესებული. საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი, რომელიც ტურინულ კლუბში ერთ-ერთ ყველაზე დაბალ ანაზღაურებად ფეხბურთელად რჩება, ამჟამად ახალ შეთანხმებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებს. გაზეთ Daily Mail-ის ცნობით, რომან აბრამოვიჩის კლუბი მზადაა ტრეზეგეს სანაცვლოდ ტურინელებს იანვრის სატრანსფერო ფანჯარაში 25 მილიონი ფუნტი სტერლინგი შესთავაზოს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** დანიის სპორტის საქმეთა მინისტრი და საერთაშორისო ანტიდოპინგური სააგენტოს (WADA) აღმასკომის წევრი ბრაიან მიკელსენი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციისგან (FA) მცველ რიო ფერდინანდის ორწლიან დისკვალიფიკაციას ითხოვს. მიკელსენისვე თქმით თუ მუქარით, იგი საკუთარ გადაწყვეტილებას სპორტის საარბიტრაჟო (CAS) სასამართლოში დაიცავს. "ჩვენ არ გვაწყობს FA-ს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება. WADA-ს მიერ დადგენილი წესები სპორტის ყველა სახეობის წარმომადგენელთათვისაა და იგი ფეხბურთსაც ეხება", - აცხადებს მაღალჩინოსანი.

როგორც ცნობილია, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველს დოპინგ-ტესტის გავლის დავიწყების გამო რვა თვით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

■ ■ ■

**კრივი.** კრივის ცოცხალი ლეგენდა ანჯელო დანდი და ჰოლივუდის ვარსკვლავი რასელ ქროუ სიდნეიში მოსამზადებლად მყოფ რუს-ავსტრალიელ კონსტანტინ ცზიუს ვარჯიშს დაესწრნენ. საქმე ისაა, რომ ცზიუს 7 თებერვალს მოსკოვში ამერიკელ შარმბა მიტჩელთან შებმა ელის. რაც შეეხება ანჯელო დანდის, ირკვევა, რომ იგი კოსტიას ძველი გულშემატკივარი ყოფილა. გარდა ამისა, დანდის ავსტრალიაში ყოფნის მიზეზი რასელ ქროუსთვის კონსულტანტობა ყოფილა, რომელიც თავის მხრივ სუპერმძიმეწონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის, ჯეიმს ბრედოკის ცხოვრების მოტივებზე აგებული ფილმის გადაღებისთვის ემზადება.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სიმაღლეზე მხტომელი ამერიკელი, ჩარლზ დიუმასი, რომელმაც "მისტიური" ბარიერი – 215 სანტიმეტრი პირველმა გადალახა, ლოს ანჯელესის ერთ-ერთ კლინიკაში 66 წლის ასაკში კიბოთ გარდაიცვალა.

რეკორდული სიმაღლე დიუმასმა წინაოლიმპიურ შესარჩევ ტურნირზე ლოს ანჯელესში, 1956 წლის ივნისში "კოლიზეუმის" სტადიონზე დაძლია, ხოლო ნოემბერში ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა. დიუმასის შემდეგ კი სიმაღლეში მხტომელთა ახალი თაობაც წამოვიდა: ჯონ ტომასი, ვალერი ბრუმელი, რობერტ შავლაყაძე...

■ ■ ■

**ფორმულა 1.** "დაიმლერ-კრაისლერის" მეთაურმა იურგენ ჰუბერტმა გადაწყვიტა უარეყო მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, თითქოს 2006 წლის ბოლოს "ფერარისთან" კონტრაქტის დასრულების შემდეგ მიხაელ შუმახერი "მაკლარენ-მერსედესში" გადავიდოდა და სპორტულ კარიერასაც იქვე დაასრულებდა. "ამ თემას არ განვიხილავთ, - ვითარებაში გვარკვევს იურგენი. ოდესღაც იმაზე ვოცნებობდით, რომ მიხაელს "მერსედესში" ეასპარეზა...".

გარდა ამისა, შუმახერი "მერსედესისთვის" ძალზე ძვირია. ის გასამრჯელო, რომლის გადახდაც მისთვის მოგვიწევდა, ჩვენს მიზნებს არ შეესაბამება".

■ ■ ■

**ფორმულა 1.** "ფერარის" პრეზიდენტის ლუკა დი მონტეძემოლოს ცნობით, დეტროიტის პრესტიჟულ ავტოსალონში იტალიური საჯინიბო 25-29 იანვრის შუალედში ახალი ბოლიდის პრეზენტაციას გეგმავს. შარშან კი ამგვარი რამ "ფერარიმ" 7 თებერვალს გააკეთა, როდესაც საკუთარი პირმშო - F2003-GA საშკარაოზე გამოიყვანა.

გარდა ამისა, მონტეძემოლოს ხელმეორედ მოუწია გავრცელებული ხმების უარყოფა, თითქოს "ფერარიმ" ბრაზილიელ რუბენს ბარიკელოსთან კონტრაქტი გაახანგრძლივა: "ბარიკელოსთან ჩვენი კონტრაქტი 2004 წლის ბოლომდე მოქმედებს. თუ მივიღებთ გადაწყვეტილებას კონტრაქტის გაგრძელებაზე, ჩვენ ამის შესახებ საჭირო დროს განვაცხადებთ. ჯერჯერობით კი ახალს ვერაფერს გეტყვით".

■ ■ ■

**ჰოკეი.** "პიტსბურგის" თავდამსხმელს, მარიო ლემიეს მარცხენა ფეხის ბარძაყზე გასაკეთებელი ოპერაციის გამო, დარჩენილი სეზონის გამოტოვება მოუწევს. ლემიეს საოპერაციო მაგიდაზე დაწოლა მომავალ კვირას ელის. "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, სტენლის თასის ორგზის გამარჯვებული ყველაფრის მიუხედავად, კარიერის დასრულებაზე არ ფიქრობს.



# გაუგებარი ქმარი

ბრიტნი სპირსის ბავშვობის მეგობარი, ჯეისონ ალენ ალექსანდერი, მომღერალთან ქორწინების გაუქმების შემდეგ პირველად ალაპარაკდა. ალექსანდერმა შეერთებულ შტატებში ერთდროულად ორ ტელეგადაცემას – Access Hollywood-სა და Inside Edition-ს მისცა ინტერვიუ. მან აღიარა, რომ ლას ვეგასში დაქორწინების გადაწყვეტილების მიღებისას ისიც და ბრიტნიც ლამის შეურაცხად მდგომარეობაში იყვნენ.

ისინი დიდი ხნის მეგობრები ყოფილან, თუმცა, შეყვარებულები არ ეთქმოდათ. "რაღაცა კი გვქონდა, მაგრამ ამას სასიყვარულო ურთიერთობას ვერ ვუწოდებთ," - თქვა ალექსანდერმა.

ის ღირსშესანიშნავი საღამო მართლაც კარგად დაიწყო: მათ სასტუმროს ოთახში ფილმს უყურეს. "უბრალოდ, ვმაიმუნობდით," - მოჰყვა ალექსანდერი. "ძალიან ვერთობოდით, ქალაქის სინათლეებს გავცქეროდით". შემდეგ კი, დაახლოებით დილის ოთხ საათზე, ბრიტნის უთქვამს, წამო, ლას ვეგასში წავიდეთ, რამე გავაკეთოთ, ვთქვათ, დავქორწინდეთო.

ქორწინების გაუქმება ორივეს აზრი ყოფილა – წყვილი მეორე დღესვე მიხვდა, რომ გართობა მეტისმეტი მოუვიდათ. მართალია, ალექსანდერის 22 წლის მეგობარს "ნიუ იორკ პოსტის" კორესპონდენტისთვის განუცხადებია: "გართობის მიზნით არავინ ქორწინდება". მისი თქმით, ალექსანდერი სინამდვილეში ძალიან ნაწყენი იყო, რომ ბრიტნიმ მათი დაქორწინება ხუმრობაში გაატარა.

ქორწინების გაუქმების საბუთში ჩამოთვლილია მიზეზები, რომელთა გამოც განქორწინება მოხდა: სპირსს არ ესმოდა, რას აკეთებდა; წყვილმა არაფერი იცოდა ერთმანეთის სურვილების და მისწრაფებების შესახებ; დაუდგენელი იყო, აპირებდნენ თუ არა შვილების ყოლას, და არც ის ჰქონდათ გადაწყვეტილი, სად იცხოვრებდნენ. გარდა ამისა, სპირსი ორსულად არაა და არც გასაყოფი ქონება გააჩნია.



# ვარსკვლავი სელინისთვის

2004 წლის პირველი ვარსკვლავი ჰოლივუდის ცნობილ ბულვარზე კანადელმა მომღერალმა, სელინ დიონმა გახსნა. 35 წლის ვარსკვლავს საკუთარი ვარსკვლავის დანახვაზე ცრემლი მოადგა თვალზე.

თავდაპირველად ცერემონია 2003 წლის მარტში იყო დაგეგმილი, მაგრამ ერაყის ომის გამო მაშინ მისი გადადება მოუხდათ.

თავის კანადელ მშობლებთან ერთად სელინ დიონი ამერიკაში პირველად 20 წლის წინათ ჩავიდა. დიონის თქმით, ის ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ასეთი საპატიო მიზნით მოუწევდა ლოს ანჯელესში დაბრუნება.

გასული წლების განმავლობაში დიონმა მთელ მსოფლიოში 155 მილიონი ალბომი გაყიდა, 2003 წლის გაზაფხულიდან კი ის ლას ვეგასში, სპეციალურად მისი შოუსთვის აშენებულ თეატრის შენობაში მართავს კონცერტებს.

2004 წ. 5 იანვარი

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს(USAID) მიერ დაფინანსებული საქართველოს მიკროდაფინანსების სტაბილიზაციისა და გაძლიერების პროექტი სთხოვს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ქართულ კომპანიებს წარმოადგინონ წინადადებები ქვეყნის მასშტაბით სოციოლოგიური გამოკითხვის ჩასატარებლად ფინანსური მომსახურების მიწოდება- მოთხოვნაზე, რომელიც ორიენტირებულია მცირე და მიკრო საწარმოების მოთხოვნილებებზე.

წინადადებები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

| კრიტერიუმები | ქულები |
|---|---|
| ტექნიკური | 80 |
| 1. მეთოდოლოგია და შერჩევა. წარმომდგენმა უნდა მოახდინოს გამოკითხვის ჩატარებისთვის საჭირო ლოჯისტიკური და ორგანიზაციული უნარ-ჩვევების დემონსტრირება, მათ შორის კითხვარის წინასწარი ტესტირება, ინტერვიუერთა ტრენინგი, მონაცემთა შეგროვება და კომპიუტერში შეყვანა, ხარისხის კონტროლი, დოკუმენტაციის მომზადება და ინფორმაციის არქივირება. შერჩევის მოცულობა –დაახლოებით 700 მცირე და მიკრო მეწარმე (ანუ 100 თითოეულ რეგიონში). წინადადებებმა უნდა აღწერონ მონაცემთა წყარო, და შერჩევის მეთოდი, რომლებიც იქნება გამოყენებული. | 50 |
| 2. გამოცდილება. მსგავსი გამოკვლევების ჩატარების მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება. | 15 |
| 3. რეგიონალური წარმომადგენლობა. კომპანიას მოეთხოვება საკმაო წარმომადგენლობა რეგიონებში, ადგილობრივი ზედამხედველებისა და ინტერვიუერების სწრაფი მობილიზებისა და კოორდინირების უნარი. | 15 |
| ფასი | 20 |

სულ: 100

ქცემოთ იხილეთ კომპეტენციის სფერო და შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალი. თუ გაქვთ კითხვები დაუკავშირდით პროექტს ელ-ფოსტით: zaal@gmsc.ge.

წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 16 იანვარი. შერჩევა მოხდება 2004 წლის 23 იანვარს.

კომპეტენციის სფერო და შესასრულებელი სამუშაოს ჩამონათვალი

კონტრაქტორი იმუშავებს ქემონიქს საქართველოს სახელით,რათა განახორციელოს სოციოლოგიური გამოკითხვა. კონტრაქტორის ვალდებულია შეასრულოს სულ მცირე შემდეგი:

- ქემონიქსის მიერ მიწოდებულ გამოკითხვის შინაარსზე კომენტარის დართვა და მისთვის საბოლოო სახის მიცემა.
- კითხვარის გადათარგმნა (ქართულიდან ინგლისურად და პირიქით)
- კითხვარის წინასწარი ტესტირება ინტერვიუს სახით 21 რესპოდენტთან (7 რესპოდენტი თითო ქალაქიდან). ქემონიქსის თანამშრომელი უნდა ესწრებოდეს თითოეულ ინტერვიუს. წინასწარი ტესტირებიდან გამომდინარე, იმის განსაზღვრა, თუ რა ნაწილში უნდა იქნას შეკითხვები დამუშავებული იმისათვის,რომ კარგად მოერგოს ქართულ კონტექსტს.
- კითხვარის გადამოწმება წინასწარი ტესტირების,ისევე როგორც შემდგომი ანალიზის შედეგად,ქემონიქსთან კონსულტაციაზე დაყრდნობით.
- კვლევის განხორციელება საქართველოს მასშტაბით, ფინანსურად რენტაბელური მეთოდით, ოღონდ არა სოციოლოგიური გამოკითხვის ხისრულისა და სიზუსტის ხარჯზე. (სავარაუდოდ იგულისხმება თითოეულ ქალაქში100-მდე რესპოდენტის გამოკითხვის დოკუმენტალური ნიმუში.)
- თითოეულ ქალაქზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შემთხვევითი შერჩევით ნიმუშების შეგროვება 95 პროცენტის იდენობით უტყუარი მაჩვენებლით. გეოგრაფიული განმსაზღვრელის ჩვენებით,როგორიც არის საფოსტო კოდი,ან ქალაქის ან უბნის კოდი/ ნომერი,(თუკი ეს შესაძლებელია) მიხედვით,რესპოდენტის კოორდინატების განსაზღვრა.
- ქემონიქსის მიერ წაყენებული მოთხოვნილებების შესრულების ხარისხის შემოწმება და გაკონტროლება, იმისათვის, რათა ჩატარდეს სოციოლოგიური გამოკითხვა სხვადასხვა ადგილებში.
- კითხვარების გამრავლება და დარიგება გამოკითხვის ჩამტარებელთათვის
- ქემონიქსთან ერთად მონაცემთა შეყვანისა და მათთვის ცხრილის სახის მიცემის სისტემის შექმნა და გამოყენება.
- შეიყვანოს მონაცემები **SPSS 10.0** პროგრამაში ხარისხის სტაბილური კონტროლით მონაცემთა.
- ქემონიქსისათვის მონაცემების გაფილტვრა, არქივირება, და გამოკითხვისათვის ყველა სხვა აუცილებელი პროცედურის შესრულება.
- მონაცემებში ყოველ ჯერზე შესწორებების შეტანის შემდეგ მონაცემთა დაბეჭდვა (ამგვარი ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას).
- ხელმისაწვდომობა გამოკითხვის შეგროვების,სინთეზირებისა და ანალიზის დროს წამოჭრილ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად.
- ქემონიქსი უხელმძღვანელებს საბოლოო ანგარიშის მომზადების პროცესს.

საბოლოო ანგარიში მოიცავს სულ მცირე: ამომწურავ რეზიუმეს, შესავალს და ზოგადი სიტუაციის აღწერას, მეთოდოლოგიურ დასკვნას, შედეგებს (გრაფების, ცხრილების სახით შედგენილს) რეკომენდაციებს და დანართებს(კითხვარი, მონაცემთა ბაზის სტრუქტურა და დეტალური მეთოდოლოგია).

## კეიტს ასეთი სიკვდილი უნდა

"როლინგსთოუნზის" გიტარისტს, კეიტ რიჩარდსს აზრადაც არ მოსდის, რომ ოდესმე პენსიონერი იქნება. ჟურნალ People-სთვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ სიკვდილს სცენაზე აპირებს.

"მუსიკით დაკმაყოფილება შეუძლებელია," ამბობს რიჩარდსი. "დაკვრისას გრძნობის დაკარგვამდე უნდა მიხვიდე. ეს ერთადერთი რამაა, რაც შედარებით კარგად გამომდის".



**განცხადება**

პარასკევს 6 საათზე "ლიტერატურულ კაფეში" (კოსტავას ქუჩა 48) შედგება საქველმოქმედო აქცია. მოსახლეობისაგან შემოწირულ წიგნებს გადასცემენ ქალთა და ბავშვთა კოლონიებს. თხოვნაა, წიგნები ნუ იქნება ჭიანი.

**გვესაჭიროება !**

ინგლისურის და კომპიუტერის მცოდნე

**ფარმაცევტები და ექიმები.**

**ტელ: 95 90 60, 899 166897**


ინტიმური გაცნობები
მობილური 70თ 822 009 108
რაიონი 70თ 822 009 008
თბილისი 50თ 822 009 088
18 წლიდან




**წამალი "სალხინო"**
**ქართული ფლორის საოცრება**

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.